1998

საქართველოს

# ქალი

9–10

1998

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნომერშია:

**ინტერვიუ პირად საკითხებზე** 6-7 გვ.

**ქუთაისი—ნიუპორტი: ქუთაისელ და ბრიტანელ ქალთა მეგობრობის სიკეთე** 8-9 გვ.

**ნუ გაწყრებით, ისიამოვნეთ „საჩუქრით“** 8-9 გვ.

**მედეა კახიძის ახალი ლექსები** 12 გვ.

**გივი ჭიჭინაძე: საყმაწვილო გვერდი** 12 გვ.

ჟურნალი გამოიცა ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და პროგრამის „რეპროდუქტოლოგიის განვითარება საქართველოში“ ნაწილობრივი დახმარებით.

საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:

- ნანული შევარდნაძე
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ლია კაკაბაძე
- ნანა ობოლაძე
- ცინარა ბერელაძე (მხატვრული რედაქტორი)
- ირმა ბოჭიკაშვილი
- ნინო ჯავახიშვილი
- ეთერ ჯაფარიძე

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — „წითელი ვაშლები“ — დავით იაკობაშვილის ფოტოეტიუდი; მეოთხეზე — „ანცი“ — ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

დამფუძნებელი — ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.

ჟურნალი გამოდის 1958 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.
თ. კოსტავას ქ. № 14.

„Sakartvelos Kali“
a Magasine for Women of the
Republic of Georgia
Georgian Woman

## მრწამსი

# ქრისტიანული სარწმუნოების სიმბოლო

ქრისტიანობა არის სულის მაცხონებელი უშრეტი წყარო, — იგი ახარებს, არწყულებს, უკვდავებით ასაზრდოებს „ყოველსა დაბადებულსა“, განურჩევლად რასისა, ეროვნებისა, განათლებისა და სოციალური მდგომარეობისა.

ქრისტიანობა არის სარწმუნოება, რომელიც თრგუნავს ჯოჯოხეთის ბჭეებს, რომელიც ბოროტებას სიკეთით ებრძვის.

ქრისტიანობა არის სარწმუნოება, რომელსაც ადამიანი ღმერთთან მიჰყავს.

კიდევ ერთი ახალი წელი და კაცობრიობა იზეიმებს ქრისტეს შობის ორი ათას წლისთავს...

ორი ათასი წლის წინ იშვა მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე — იშვა ბეთლემის გამოქვაბულში, ცხოვართა სადგომში, მწყემსებს შორის. აღსრულდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა სიტყვები მესიის განკაცების შესახებ...

იშვა მაცხოვარი, რათა ღვთაებრივი სისხლით გამოესყიდა ადამის ცოდვა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

იშვა მაცხოვარი, რათა ჯვარზე აეტანა თითოეული ჩვენგანის ცოდვები, რათა ჩვენი ცხოვრებისათვის დაეომინა ტკივილები.

იესო ქრისტემ საკუთარი სისხლით გაგვიხსნა სასუფევლის კარი, რომელიც ადამისა და ევას გამოძევების შემდეგ დახშული იყო...

იესო ქრისტე არის „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“, ღმერთი ჭეშმარიტი და კაცი ჭეშმარიტი. იესო ქრისტე არის „ძე ღმრთისა მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“. „მრწამსის“ ეს სიტყვები ცხადყოფს, რომ ქრისტე იშვა მამის წიაღში „უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“, ე. ი. იესო არის „ერთ-არსი მამისა“, რომელიც ყოველთვის არსებობდა მამა-ღმერთთან ერთად და მონაწილეობდა სამყაროს შექმნაში, — პირველ საუკუნეში კი „ჩუენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით...“ უფრო სწორად, პირველ საუკუნეში კი არ იშვა ქრისტე, არამედ დრომ შეიცვალა მდინარება, — მისი შობის შემდეგ საუკუნეებმა იწყეს აღმა სვლა.

საოცარია იესო ქრისტეს განკაცების მისტერია — ღმერთმა ისე დაიმდაბლა თავი, რომ თავის შექმნილს აშობინა თავისი თავი. უფალს ხომ შეეძლო, გამოქვაბულის ნაცვლად მეფის სასახლეში შობილიყო, ხომ შეეძლო მარიამის ნაცვლად მეფის ასულის წიაღში განსხეულებულიყო, — შეეძლო, რა თქმა უნდა, შეეძლო, მაგრამ თავისი მოვლინებით ცხოვრების ბაგაში მან კაცობრიობას ამცნო, რომ ღვთის წინაშე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ამქვეყნიურ რეგალიებს, — მან თავისი ღვთაებრივი უბრალოებით დათრგუნა ამპარტავნება და გვაუწყა, რომ ადამიანი მხოლოდდამხოლოდ გულით ფასდება.



● დორე — ჯვარცმა

იესო ქრისტემ „ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა“. ხორცშესხმული მაცხოვარი ისეთივე ადამიანი იყო, როგორიც თითოეული ჩვენგანი — სტკიოდა, სციოდა, უხაროდა, სწყინდა... (ღმერთს არც სცივა, არც სტკივა, არც შია, ღმერთი ღმერთია). აბა, გავიხსენოთ, როგორ აატირა ქრისტე ბეთანიელი ლაზარეს სიკვდილმა, რომლის აღსადგენადაც მივიდა საფლავთან. ამ ეპიზოდში აშკარად ჩანს იესო ქრისტეს ღვთაებრივ-ადამიანური ბუნება, — ლაზარე აღადგინა, როგორც ღმერთმა და ლაზარე დაიტირა, როგორც კაცმა. ქრისტეს ორი ბუნება ჩანს უდაბნოში ორმოცდღიანი მარხვის დროსაც. სახარება გვამცნობს: იესოს, როგორც კაცს, მეორმოცე დღეს მოშივდა, ამ დროს გამოცხადდა მასთან მისი უპირველესი მტერი და აღუთქვა მთელი ამქვეყნიური დიდებულება, რომლის სანაცვლოდ სული მოსთხოვა. აქ კი ქრისტემ ღვთაებრივი ბუნებით შერისხა სატანა და იგი გაქრა.

სახარებიდან მსგავსი მაგალითების მოხმობა მრავლად შეიძლება, — დავუბრუნდეთ ისევ „მრწამსს“: იესო ქრისტე „ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელისა, პილატეს-ზე, და ივნო და დაეფლა“... ძველად ჯვარზე გაკვრა სამარცხვინო სასჯელად ითვლებოდა, ებრაელებმა კი პონტოელი პილატეს თანხმობით, რომელიც იმ ხანად იერუსალიმის გამგებელი იყო, ასეთი სასტიკი მსჯავრი დაადეს უფლის კრავს. ჯვარცმის შემდეგაც არ მოისვენეს მღვდელმთავრებმა და ფარისევლებმა, — მის საფლავთან მცველები დააყენეს, რადგან ახსოვდათ უფლის სიტყვები, მესამე დღეს აღვდგებიო, — შეეშინდათ, მოწაფეებმა არ მოიპარონ და მერე ხმები არ გაავრცელონ: ქრისტე აღდგაო! ამიტომაც მოითხოვეს პილატესაგან საფლავის დაცვის ნება.

ჯალათების სურვილის მიუხედავად, ქრისტე მაინც „აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა“, — ე. ი. ყველაფერი აღსრულდა, რაც წინასწარმეტყველებაში იყო ნათქვამი, „და ამაღლდა ზეცად და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა“. იესო ქრისტემ სულის ამოსვლისთანავე თავისი ადგილი დაიკავა მამა-ღმერთის მარჯვენივ და მაშინვე გამოიხსნა მართალთა სულები ჯოჯოხეთიდან. იესო ქრისტემ თავისი მოწამეობრივი სიკვდილით სიკვდილი დათრგუნა — საერთოდ დაამარცხა სიკვდილი; თავისი აღდგომით ჯოჯოხეთის ბჭენი შემუსრა. იგი თავადვე, ბრძანებს: „მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე, ჩემი მორწმუნე კიდეც რომ მოკვდეს, იცოცხლებს, ყველა, ვინც ცოცხლობს ჩემში და სწამს ჩემი, არ მოკვდება უკუნისამდე“. (იოანე, 11; 25-26).

„მრწამსში“ ვკითხულობთ: იესო ქრისტე „კვალად მომავალ არს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკვდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ“. აქ უკვე ლაპარაკია ქრისტეს მეორედ მოსვლაზე, არა გამოქვაბულში ცხოვართა შორის, არამედ მთელი თავისი სიდიადით — ანგელოსთა დასთა თანხლებით... მობრძანდება უფალი არა ეკლის გვირგვინით შუბლდაკაწრული, პილატეს წინაშე დამცირებული, არამედ ზეციური გვირგვინით გაბრწყინებული, მთელი კაცობრიობის — ცოცხლების და მკვდრების განსასჯელად და განსაკითხავად.

სამების მესამე პირია „სულიწმინდა, უფალი და ცხოველს-მყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს“... იესო ქრისტემ ამაღლების წინ მოციქულებს უთხრა, მე წავალ და ჩემს მაგივრად მოგივლენთ სულსა ნუგეშისცემისასო.

მართლაც, ამაღლებიდან ათი დღის შემდეგ მოციქულთა თავებზე ხილულად გარდმოვიდა სულიწმინდა ცეცხლოვანი ენების სახით და მათ სხვადასხვა ენებზე დაიწყეს ლაპარაკი.

სულთმოფენობა აღდგომიდან 50-ე დღეს იდღესასწაულება და მორწმუნეები სახლსა და ეკლესიებს ყვავილებითა და ნორჩი ბალახით ვრთავთ, რამეთუ წმ. მამათა სწავლებით, სულიწმინდა მცენარეებზე დაივანებს.

სულიწმინდა იგივე ღმერთია, რომელიც „მამისა თანა და ძისა თანა თაყვანისიცემების და იდიდების...“

ძალიან რთულია სამების არსში ჩაწვდომა, — მამა, ძე და სულიწმინდა ცალ-ცალკე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, ღმერთი სამი კი არ არის, არამედ — სამპიროვანი ერთარსებაა. განვიხილოთ, რა არის მზე, — მზე არის სითბო, სინათლე და სფერო, ერთი კომპონენტი მაინც რომ აკლდეს, მზე ველარ იქნებოდა მზე. ოთახში მზის სხივი რომ შემოდის, ვამბობთ, მზე შემოვიდაო. თუნდაც თვალით არ დავინახოთ და მხოლოდ მისი სითბო შევიგრძნოთ, ვიტყვით, მზემ გაგვათბოო. ზამთრის ცრიატ ცაზე, ლაღლადა სხივების გარეშეც, გაცრეცილი სფერო რომ დავინახოთ, მაინც ვიტყვით, მზე ამოსულაო. ასე რომ, ცალ-ცალკე სითბო, სინათლე და სფერო წარმოადგენს ერთად აღებულ ერთ მზეს. ასევეა სამება — მამა, ძე და სულიწმინდა ერთარსება ღმერთი.

„მრწამსში“ მითითებულია ნათლისღების აუცილებლობაზე: „აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებლად ცოდვათა“, — ბავშვი უბიწო იბადება, მაგრამ წინაპართა ცოდვა მაინც გადმოდის მასზე... უფალმა ამაღლების წინ მოციქულებს დაუბარა: „გადით მთელ წუთისოფელში და ყოველ ქმნილებას უქადაგეთ სახარება — ვინც ირწმუნებს და მოინათლება, გადარჩება; ხოლო ვინც არ ირწმუნებს, მსჯავრდადებული იქნება“. (მარკოზი, 16-15, 16). მეორედ და მესამედ მონათვლა არ შეიძლება.

ქრისტიანული სარწმუნოების სიმბოლო — „მრწამსი“ მთავრდება სიტყვებით: „მოველი აღდგომასა მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესასა“, — ეს არის დედამიწაზე ქრისტეს მეორედ მოსვლის მოლოდინი, რომლის დროსაც მკვდრები აღდგებიან და იქნება საბოლოო განსჯა „ცხოველთა და მკვდართა“, რომლის შემდეგ წუთისოფელი მარადიული ცხოვრებით შეიცვლება.

**ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი**

# „და სათვისტომოს ჰევარგისები“

პოეტია თხემით ტერფამდე. ამას უბრალო საუბრის დროსაც შეიტყობთ...

უამრავი საქმითაა დაკავებული — თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის კათედრის გამგეა, ებრაული ღია უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს პარლამენტის წევრი...

ავტორია რამდენიმე წიგნისა: „შუა საუკუნეების ებრაული პოეზია“ — თარგმანები, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით; ნათარგმნი აქვს აგრეთვე — მოზესის ინჩქაცის „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“, და კიდევ მსოფლიო კლასიკური პოეზიის მრავალი ნიმუში. მასვე ეკუთვნის ისტორიული ესსე „გამოიღვიძე ქნარო“, „შრომანი ღვაწლთა“ და სხვა.

თავად მისი და თარგმნილი პიესები იდგმებოდა მარჯანიშვილის სახელობისა და ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრის სცენებზე.

არის საქართველოს სახელმწიფო, პარიზის ქართულენოვანი ინსტიტუტის, ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი.



● ჯემალ აჯიაშვილი ი. მეჩითოვის ფოტო

მე ასე მითხრეს ბატონ ჯემალ აჯიაშვილზე — სენაკში, მრავალშვილიან, ხელმოკლე ოჯახში გაიზარდაო, მაგრამ სიკეთითა და სისპეტაკით სავსე ოჯახშიო.

გაჭირვება სიკეთის დედააო, ეს არცთუ მართებული აზრი კიდევაა შემორჩენილი ჩვენს ცნობიერებაში — თითქოს კარგი, დიდბუნებოვანი ადამიანი მაინც და მაინც ღარიბი ოჯახიშვილი უნდა იყოს...

— გაჭირვებულნი... როგორ გითხრათო, — მითხრა ბატონმა ჯემალმა, — ნამდვილად არ ვყოფილვართ. არც ისე მრავალშვილიანი ოჯახი იყო ჩვენი ოჯახი — ოთხი დედმამიშვილი ვიყავით. ახლა კი ითვლება ეს მრავალშვილიანად, მაგრამ მაშინ... მაგალითად, ბებიას და ბაბუას 9 შვილი ჰყავდათ. ვცხოვრობდით ისე, ჩვეულებრივად, როგორც მაშინ ცხოვრობდნენ სენაკელები. ბავშვობაც ჩვეულებრივი მქონდა. მხოლოდ ეს იყო — მაშინ ცხოვრება იყო სხვანაირი — ნაკლები პრაქტიციზმით გაჯერებული. პედაგოგები გვყავდა შესანიშნავი, საქმისათვის თავდადებულნი. გვაწრთობდნენ სულიერადაც, გონებრივადაც. სხვანაირი განწყობა იყო მოწაფეებსა და მასწავლებლებს შორის — მოწიწეობრივი, სავსე პასუხისმგებლობით.

და კიდევ — ჩვენს ოჯახში, ჩვენს საგვარეულოში პოეზიის ფასი იცოდნენ. მამის ბიძა, შეიძლება ითქვას, ნამდვილი პოეტი იყო... მთელი „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა. მერე ერთადერთი შვილი დაეღუპა და ამ საშინელმა ტკივილმა საერთოდ ჩააქნევინა ხელი არამცთუ ლექსების თხზვაზე, თვით ცხოვრებაზეც კი. საწყალი დედაჩემიც სილამაზის ტრფიალი იყო, სიმღერაც ლამაზი იცოდა, მახსოვს, ჩემს ბავშვობაში — საქმეში გართული წაიმღერებდა ხოლმე თავისთვის, ჩუმად (ბატონ ჯემალს ამ ოთხიოდე თვის წინ გარდაეცვალა დედა)... არაჩვეულებრივი ბუნების ქალი იყო, მოკრძალებული, დამთმენი.

— და მაინც, — ვკითხე ბატონ ჯემალს, — თქვენი შემოქმედებითი ცხოვრება უპირველესად რამ განსაზღვრა?

— დიახ, ვთქვი რომ, ჩვეულებრივად ვცხოვრობდით, ისე, როგორც ყველა, მაგრამ ჩვენ, ებრაელებს, მაინც გვქონდა სხვანაირი, სხვათაგან დაფარული.. მოგეხსენებათ, იმ პერიოდში როგორ იდევნებოდა ყოველგვარი სარწმუნოება, ბიბლიაზე საუბარიც ზედმეტი იყო.

ოჯახში აღვნიშნავდით ყოველ ებრაულ დღესასწაულს. მკაფიოდ მახსოვს, მოხუცი, სპეტაკი თეთრწვეროსანი ბეხორა ბაბუა დადიოდა ჩვენთან. გვიკითხავდა და გვასწავლიდა საკრალურ ტექსტებს ბიბლიიდან, ასევე გვიყვებოდა ბაბუაც. ეს იყო რაღაც სხვა — ზეპირსიტყვიერებისა თუ ბიბლიური თქმულებების ნაზავი. სხვათაშორის ბევრი ტექსტი ბიბლიაში საერთოდ არ წერია.

წერა-კითხვაც ძველებრაულად იმავე მოხუცმა, სჯულის მოძღვარმა შემასწავლა.

პასექის დღესასწაულზე ოცამდე კაცი მაინც იკრიბებოდა. გაგვიშვებდა ბაბუა ბავშვებს გარეთ. ჩვენ კარს ვაბრახუნებდით. — ვინა ხართ თქვენ? — გვკითხავდნენ.

და ჩვენც, მთელი გულწრფელობით, ვუყვებოდით, როგორ მოვდიოდით 40 წელი და დამაშვრალნი შეშვებას ვითხოვდით.

ეს მართლაც ჩვენთვის გაუცნობიერებელი, მაგრამ საოცრად გულწრფელი ალსარება იყო. ბაბუა შესვლის ნებას დაგვრთავდა და ჩვენც, ვითომ დაღლილნი და დამაშვრალნი. საპასექო ტაბლას მივუსხდებოდით.

და ეს ტრადიციები ზეგავლენას ახდენდა ჩვენს ბავშვურ ცნობიერებაზე.

მახსოვს პირველი ტრადიციული სადღეგრძელოც — „ღმერთმა შეხინა დაიხსნას ტყვეობიდან“.

რაკილა უფალი ყველგან არსებული ის ნათლის სვეტია, რომელიც უდაბნოში მოჰყვებოდა ებრაელებს, მის ერთ-ერთ ატრიბუტს შეხინა (თანაყოფა) ჰქვია. აქვს სხვა ატრიბუტებიც: შადაი (ძლევამოსილი) — ეს ნიშანი ყველა ებრაელის კარის ზღუდეზეა მიკრული; საბაოთ (უფალი მხედრობათა)... როცა ებრაელობა ტყვეობაში აღმოჩნდა, შეხინაც თან წაჰყვათ. და აი, ამ შეხინას ტყვეობიდან დახსნაზე ოცნებობდა ჩვენსავით ყველა ებრაული ოჯახი. განდევნილ ებრაელთა ნატვრა და ოცნება ყოველთვის იყო სურვილი მშობლიურ მიწაზე დაბრუნებისა.

მახსოვს, როგორ გვასწავლიდნენ— თუ კაცი კაცს აწყენინებს, ეს უზარმაზარ ცოდვად ითვლებაო, აწყენინებ ვინმეს, ესე იგი, ღმერთს აწყენინე.

გვაქვს ებრაელებს ასეთი დღე — მას განკითხვის — იომ ქიფურ — მიტევების დღეს ვუწოდებთ. ეს დღეები საოცარი სულიერებით არის გამსჭვალული. და ამ კატეგორიებით ბავშვი რომ იზრდება, ცოდვას ნაკლებად ჩაიდენს.

ჩვენ ღრმად გვწამდა უფლის. ვიცოდით, რომ იგი ჩვენი მამა იყო. ზეპირად ვიცოდით ის ათი მცნება, მოსემ სინას მთიდან რომ ჩამოიტანა. და განა ის ათი მცნება არ განსაზღვრავს კაცობრიობის საქციელს? და ასე თუ ისე, ჩემი ცხოვრების წესიც განსაზღვრა — მჯეროდა, ვინმეს თუ ვატკენდი გულს, ეს უფლისთვისაც გულისტკივილი იქნებოდა.

ასე რომ, ჩემს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ებრაული ცხოვრების წესმა დიდი ზეგავლენა მოახდინა.

— და სპეციალობაც, აღმოსავლეთმცოდნე ფილოლოგისა, ამიტომ აირჩიეთ?

— ო, არა. წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით — მინდოდა ფილოლოგიის ფაკულტეტზე შევსულიყავი. მირჩიეს, ბარემ ენებსაც შეისწავლი, აღმოსავლეთმცოდნეობა სჯობიაო და მეც ასე გადავწყვიტე. უბრწყინვალესი პედაგოგები მყავდა — გიორგი ახვლედიანი, გიორგი წერეთელი...

— ბატონო ჯემალ, ხართ ღია ებრაული უნივერსიტეტის რექტორი...

— ეს იგივე სახალხო უნივერსიტეტია. ყველა მსურველს შეუძლია ჩვენს უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად ჩაეწეროს. ისწავლება ძველი და ახალი ებრაული, ისტორია და ა. შ.

— თქვენი ოჯახის შესახებ გვიამბეთ, თუ შეიძლება.

— მყავს ორი ვაჟი — დიმიტრი და დავითი. დიმიტრიმ უკვე დაამთავრა აღმოსავლეთმცოდნეობისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტები. ახლა დისერტაციაზე მუშაობს, ასეთი თემა აქვს:„ ქართველი ებრაელების გზა". ძალიან საინტერესო სამუშაოა — საქართველოდან წასულ ებრაელებს ეხება.

მეუღლე მუსიკათმცოდნეა.

— ის ტრადიციები თუ გრძელდება თქვენს ოჯახში, რა ტრადიციებითაც თქვენ გაიზარდეთ?

— იცით, ყველა დროს თავისი ხიბლი აქვს — ბევრი რამ მოაქვს და ბევრიც მიაქვს. არის ასეთი ძველებრაული სიბრძნე: არ არსებობს უფრო შორეული დღე, ვიდრე გუშინდელი დღე, არ არსებობს უფრო ახლობელი დღე, ვიდრე ხვალინდელი დღე, გუშინდელი ყოველ წუთს, ყოველ წამს გვშორდება, ხვალინდელი — გვიახლოვდება...

ჩემს ბავშვობაში რაც იყო, იმის გამეორება არც ეგების, ამათ უკვე სხვა რამ სჭირდებათ — შესაბამისად დროისა და გარემოსი.

მაგრამ, ხომ არის მუდმივი ფასეულობაც — ყველა თაობაში, ყველა დროში, ყველა ლოკალში. აი, ამ მუდმივის, მდგრადის შენარჩუნებას ვცდილობდი.

— ბატონო ჯემალ, თქვენს შემოქმედებაში, ვფიქრობ, ზმამაღალი ნათქვამი არ იქნება, ქართული სიტყვის ზეიმია. ასე მგონია, სულ შთაგონებით წერთ...

— ჩემთვის თვითრეალიზაციის საშუალება ქართული სიტყვაა.

— აი, ახლახან ვიზეიმეთ ქართველთა და ებრაელთა 26 საუკუნოვანი მეგობრობა. რას გვეტყოდით?

— საქართველოში ებრაელთა ცხოვრებას ისეთი ელფერი ახლავს, რაც სხვა ქვეყნებში არ იციან, არადა, აუცილებელია იცოდნენ. ამ ზეიმმა, ვფიქრობ ეს წარმოაჩინა.

— ებრაელთა უპირველესი განმსაზღვრელი თვისება, რამაც თქვენს ცხოვრებაშიც დიდი როლი შეასრულა?

— მოთმინება — საბლანუთ. ათასწლეულები ვიჭირვებდით... ვცდილობ, ჩემი ტკივილით სხვა არ შევაწუხო, დავითმინო.

და კიდევ, უნდა ვიყოთ ისეთები, როგორიც ვართ, ჩვენს გზას არ უნდა გადავუხვიოთ.

ებრაული სიბრძნეა ასეთი: როცა ადამიანი იმქვეყნიურ სამსჯავროზე წარსდგება, ღმერთი მას პასუხს კი არ მოსთხოვს, რატომ მაინცდამაინც მოსე არ იყავიო, არამედ — რატომ ისეთი არ იყავი, როგორიც ხარო.

ყველაზე ურთულესი — თავის თავში ჩაღრმავების პროცესია.

შეიცან თავი შენი — ეს უნდა განსაზღვრავდეს ჩვენს ცხოვრებას.

ბ-ნი ჯემალ აჯიაშვილი ძალზე ნაყოფიერი შემოქმედია. თარგმნის შექსპირს, ჩიკამაცუს, პეტრარკას, ვივალდის, გოეთეს, რილკეს, ნელი ზაქსის, პასტერნაკს, მაიაკოვსკის, ესენინს...

რამდენი ენა იცის? — ორი-სამი ენა თუ იცი, — ამბობს მოკრძალებით, — მერე ადვილია სხვა ენათა შესწავლა...

ალბათ, გენეტიკური კოდიც თავის სათქმელს ამბობს.

— პირველად რომ ჩავედი ისრაელში, — მითხრა ბ-ნმა ჯემალმა, — გავოცდი, ორი-სამი ენა ყველამ იცოდა, ეტყობა ეს ებრაელთა ბედმა განაპირობა, სხვადასხვა ქვეყანაში მათმა გამუდმებულმა მიგრაციამ გამოიწვია.

და თავი და თავი — ქართულს როგორღა ფლობს? — „შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის" თარგმანათა კრებულიდან... „გახსოვს? — მჯეროდა შენი ვარდეთი, მთების გადალმა ფშვენდა მინდორი და სალამეულ სილაჟვარდეში კრთოდა ლალი და იაკინთონი. თვლემდა ტყე-ველი და მიღმიეთის სამიჯნოსაკენ ყრუდ მიმაქცევდა მიმაქცეველი... როგორ ვგალობდი, როგორ ვხარობდი შენი მინდვრით და შენი წყაროთი და სიყვარულის საბალნარომდი რა სასოებით მოვიჩქაროდი!"

და კიდევ, ქართულის ასე ღრმად გათავისებას იგი ქართველ ებრაელთა მეტყველებას უმადლის:

— დასანანია, რომ თავის დროზე ქართველ ებრაელთა მეტყველება სათანადოდ არ არის შესწავლილი. ჩემს ბავშვობაში, ოჯახში , მომისმენია ზოგჯერ ისეთი სიტყვა, რომელიც მაშინ რეტომღაც არაქართული წარმომავლობის მეგონა და საუბრისას მათ ხმარებას ვერიდებოდი, მოგვიანებით ეს სიტყვები ამა თუ იმ დიალექტში აღმომიჩენია, ან ძველ ქართულ ტექსტებში შემხვედრია...

დიახ, ათასწლობით ცხოვრობენ ებრაელები ქართველთა მიწაზე და მათი ისტორია გარკვეულწილად საქართველოს ისტორიაცაა, ხოლო ბატონ ჯემალ აჯიაშვილის შემოქმედება ამ ორი უძველესი ერის კულტურული ცხოვრების საუკეთესო ნაზავია.

**მანანა ზარიძე**

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ინტერვიუ პირად საკითხებზე



● მერი ფაჩუაშვილი

დღეს იგი ქუთაისის სოციალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი და „მადლიერების სახლის“ საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარეა, ადამიანი, რომელიც ასე უყვართ და აფასებენ ქუთაისში. მაგიდაზე — ქანდაკება „კიდევაც დაიზრდებიან“, მინდვრის ყვავილები, კედელზე — ჟიული შარტავას პორტრეტი — ყველაფერი ეს სრულ ჰარმონიას უქმნის და სამუშაოდ განაწყობს.

მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლებში იყო სიხარულიც და იმედგაცრუებაც, მაგრამ გაჭირვებაში მყოფისადმი დახმარების სურვილი მუდამ თან სდევდა და ძალას აძლევდა. წარსულისა და დღევანდელობის გზაჯვარედინზე ქალბატონ მერი ფაჩუაშვილს კვლავ უყვარს წინ ცქერა და სამომავლო გეგმებზე ფიქრი, რასაც თუ შემთხვევა მიეცემა, სიამოვნებით გაგიზიარებთ.

**— ქალბატონო მერი, რამ ითამაშა დიდი როლი თქვენი პიროვნების ჩამოყალიბებაში?**

— აღზრდამ, გარემომ, გამუდმებით მუშაობამ საკუთარ თავზე. ბავშვობიდანვე მიხდებოდა ურთიერთობა უაღრესად კეთილშობილ, ინტელექტუალურ ადამიანებთან. დაუვიწყარია მე-3 სკოლაში გატარებული წლები. სკოლის დირექტორი თამარ დახუნდარიძე ქალაქში ცნობილი პიროვნება, ნამდვილი პედაგოგი იყო. მე მისგან ბევრი საინტერესო რამ ვისწავლე. სკოლა ვერცხლის მედლით დავამთავრე, სწავლა განვაგრძე ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე მათემატიკის სპეციალობით. მუშაობა დავიწყე მე-9 საშუალო სკოლაში, სადაც დღესაც ვასწავლი მათემატიკას. ეს იყო ნიჭიერი პედაგოგის ივანე წულეისკირის სკოლა, იგი საუკეთესო პიროვნება იყო, რომელმაც თანადგომა და მეგობრობა გამიწია. წარმოიდგინეთ, მაშინ უპარტიო ადამიანი დირექტორად დანიშნეს. ვერავინ უგულვებელჰყოფდა მის ნიჭს.

სკოლაში მუშაობის პარალელურად ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის საკვლევ ინსტიტუტში ჩავაბარე საკანდიდატო მინიმუმი მათემატიკის სწავლების მეთოდიკაში. წარჩინებით დავამთავრე მოსკოვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია პოლიტოლოგიის განხრით. საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობისას ურთიერთობა მქონდა ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან და ჟიული შარტავასთან. დიდი ბედნიერებაა ბატონ ედუარდთან იმუშაო. მასთან შეიძლება გაიზარდო. მის გვერდით ვისწავლე საკითხების სწორი შეფასება, საქმისადმი თავდადება და მაღალი პასუხისმგებლობა. ჟიული შარტავასთან დიდი მეგობრობა მაკავშირებდა. ჩემს მეხსიერებას შემორჩა მისი სიტყვები: „არიან ადამიანები, რომელთა ბუნებას მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ შეიცნობ, მეც ასეთ ადამიანებს ვეკუთვნი“. დღეს ეს რეალობაა.

**— მეგობრობას რომ დიდად აფასებთ, ფაქტია. დღეს როგორ აძერხებთ ამას?**

— როცა ძალიან მიჭირს, მეგობრები ჩემს გვერდით არიან, ძალას მმატებენ. მათ გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. უახლოესი მეგობრების უმეტესობა დაოჯახებულია, ზოგი თბილისში ცხოვრობს, მაგრამ ხშირად ვიკრიბებით, ერთმანეთს ვავსებთ.

**— ჩვენ ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ, როგორი იყო ქალბატონი მერი ბავშვობაში?**

— ძალიან სერიოზული, მორიდებული, თავაზიანი. არასოდეს არ ჩანდა ჩემში ლიდერი, არ მიოცნებია თანამდებობაზე. ვიყავი ძალიან პუნქტუალური. წარმოუდგენელი იყო რაიმე დავალების შეუსრულებლობა, მშობლებიც მოწიწებით მექცეოდნენ, მათი გაბრაზება არ მახსოვს. ისე, ბავშვობაში ექიმობაზე ვოცნებობდი, მაგრამ სულ სხვა გზით წავიდა ჩემი ცხოვრება.

**— მიუხედავად განვლილი სირთულეებისა, როგორ მოახერხეთ შეგენარჩუნებინათ კეთილი ბუნება და ზახიამოვნო გარეგნობა?**

— მე ძალიან მკაცრი და მომთხოვნი ვარ საკუთარი თავისადმი. მამაკაცებს ხშირად უხუმრიათ, ძნელია გაუძლო ქალბატონ მერისთან მუშაობასო. მთავარია, იყო სამართლიანი, ობიექტური. დიდ სიამოვნებას მანიჭებს გაჭირვებულთა დახმარება. როგორც კი საშუალება მომეცა, სათავეში ჩავუდექი არასამთავრობო ორგანიზაციას „ბავშვთა ფონდი“. ჩემი შესაძლებლობებით, ავტორიტეტით ვეხმარები სოციალურად დაუცველ ბავშვებს, შუამდგომლობით რამდენიმე მათგანი გერმანიაში გავგზავნეთ სამკურნალოდ.

**— თქვენ ალბათ, ბევრი თაყვანისმცემელი გყავდათ. რა აკლდათ მათ თქვენამდე მოსასვლელად და საერთოდ, რა ადგილი ეკავა სიყვარულს თქვენს ცხოვრებაში?**

— წლები ისე გამიფრინდა, ვერ გავიგე, აი, ამ საკითხში ნამდვილად მოვისუსტე. თაყვანისმცემლები და ზოგ-

ბის შემსხმელები ყოველთვის საკმაოდ მყავდა, მაგრამ ბარიერები არსებობდა; მაღალი თანამდებობა, პირადი მდივანი, პერსონალური ავტომანქანა, მოუცლელობა. ვფიქრობდი, რომ სულ ახალგაზრდა ვიქნებოდი და დაოჯახებას მერეც მოვასწრებდი, მაგრამ..,

**— თქვენის აზრით, ქალისათვის რა არის მნიშვნელოვანი, გარეგნობა თუ დახვეწილი მანერები?**

— ქალი დახვეწილი მანერებით ყოველთვის ლამაზია. ჩემის აზრით, აუცილებელია ქალი კარგ დედად და მეუღლედ გაიზარდოს, რასაც სკოლაშივე უნდა მიექცეს ყურადღება.

**— როგორც მითხრეს, ქალბატონ მერის ძალიან უყვარს ყვავილები. როდის ყოფილა თქვენს ოთახში ყველაზე ბევრი ყვავილი?**

— ჩემი დაბადების დღეს. მაისში ვარ დაბადებული. მაისი ყვავილების თვეა, მეც მანებივრებენ.

**— საინტერესოა, როგორია ქალბატონი მერი ხამზარეულოში?**

— ო, ეს ჩემთვის ყველაზე სუსტი უბანია,

**— რა იწვევს თქვენში სიხარულს და რა — სევდას?**

— დღეს ძალიან მახარებს, რომ საქართველო გამოვიდა და მძიმე კრიზისული მდგომარეობიდან, მივდივართ სტაბილური, ცივილიზებული გზით. ამას ჩემს სამსახურში ვხედავ, საკანონმდებლო აქტები უკვე წესრიგში მოდის.

სევდას იწვევს უსულგულობა, არაადამიანურობა, უხეში დამოკიდებულება განსაკუთრებით უფროსი თაობისადმი.

**— თქვენი შეხედულება დღევანდელ თაობაზე?**

— დღეს უაღრესად განათლებული, ინტელექტუალური ახალგაზრდობა გვყავს, რაც ძალიან მახარებს, მაგრამ უფროსებმა უნდა ვიმუშაოთ, რომ არ დაეუფლოს მათ ცივილიზაციის სიცივე.

**— ამჟამად რისკენ მიილტვით?**

— ვეძებ სპონსორს, რომ „მადლიერების სახლს" ჰქონდეს საკუთარი შესაძლებლობები, უფრო მეტად რომ დავეხმაროთ ჩემი ქუთაისის სოციალურად დაუცველ მოსახლეობას. საწყენია, რომ ხშირად გულცივობას ვაწყდებით, სპონსორობას არ იმეტებენ.

**— რას უსურვებდით ქალებს?**

— ქალურ ბედნიერებას.

**ესაუბრა ნანა ნაჭყებია**

## აქეთური-იქითური აქეთური-იქითური აქეთური-იქითური

# მითხარი რომელი ხილი გიყვარს და გეტყვი ვინ ხარ

შუა საუკუნეების რაინდებს საცოლის შერჩევის ერთი უცნაური წესი ჰქონდათ: ქალიშვილს ნაირგვარი ხილით სავსე ლანგარს მიართმევდნენ და ყურადღებით აკვირდებოდნენ, რომელს აირჩევდა...

ამერიკელმა ფსიქოლოგმა ელენ ქენიმ შეისწავლა ხილისადმი ასეთი მიდრეკილება და აი, რა დასკვნამდე მივიდა:

**ვაშლის** არჩევა იმაზე მეტყველებს, რომ არ გიყვართ რომანტიკა, თქვენთვის უცხოა ნებისმიერი ექსპერიმენტი, საკმაოდ სანდო და მტკიცე ხასიათის ბრძანდებით.

**მსხლის** მოყვარული მომხიბლავი და ეროტიკულია. თავისი ხიბლით აჯადოებს თაყვანისმცემლებს, უყვარს, როცა ძვირფასი ნივთიერით ექცევიან, მაგრამ ბუტიაა და დიდხანს იცის წყენის დამახსოვრება.

**ყურძნის** მოყვარულთა დევიზია — „სიამოვნება". სასიამოვნოა, როცა პირში ყურძნის ნაზი მარცვალი სკდება. ცდილობენ ყველაფერში სიამოვნების მიღებას, ხშირად პატიჟებენ მეგობრებს გაუთვალისწინებელ წვეულებაზე, შეუძლიათ მოულოდნელად წავიდნენ სამოგზაუროდ. მათ აშინებთ სიმარტოვე და დასამშვიდებლად ხშირად მიირთმევენ ყურძნის ღვინოს.

**ხენდროს** მოყვარულებსაც უყვართ სიამოვნება, სიმყუდროვე და პეწი. მომხიბლავნი არიან და უყვართ შეძლებული ცხოვრებით ტრაბახი.

**ფორთოხლის** „ფანატები" — გულჩათხრობილნი, იდუმალნი და მორიდებულნი, გარესამყაროსგან თავს „სქელი კანით" იცავენ, თუმცა ინტელიგენტები, შემოქმედნი და იუმორის გრძნობით დაჯილდოებულნი არიან.

**„ბანანისმჭამელნი"** კარგ შთაბეჭდილებას ახდენენ, მაგრამ მძაფრად რეაგირებენ კრიტიკაზე. მათი „კანის" ქვეშ ხომ ფაქიზი და სათუთი გრძნობების ადამიანი იფარება.

**ნესვის** თაყვანისმცემელნი ოპტიმისტები არიან. სჯერათ უკეთესი მომავლის, თუმცა, უსაფუძვლო ოპტიმიზმს ხშირად იმედის გაცრუება მოჰყვება.

### პამიდორი — პროსტატის მტერი

**მეუღლეს არ უყვარს ახალი ბოსტნეულის სალათები. არადა, სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს გემოვნება. ბოლო გამოკვლევებმა ამერიკელი მეცნიერები გასაოცარ შედეგამდე მიიყვანა: რაც მეტ პომიდორს ჭამს მამაკაცი, მით ნაკლებად ემართება პროსტატის კიბო. რატომ? ტომატში შემავალი ლოკოპენი ანეიტრალებს კიბოს გამომწვევ ნივთიერებებს.**

### ავადმყოფობა პესიმისტის ხვედრია

**როგორც ჯანმრთელობის ფონდის ამერიკელი მეცნიერები თვლიან, შეიძლება ერთბაშად ჩახდე ავად, თუ ცხოვრებისაგან ელი რაღაც საშინელებას, მეცნიერები თვლიან, რომ შთაგონება — საშინელი ძალისა და ბედის დარტყმის მოლოდინის შესახებ, ნამდვილი ფსიქოსომატური დაავადებაა. ასე, რომ ისინი, ვისაც მუდამ შიში აქვს თავისი ჯანმრთელობის გამო, ნამდვილად დასჩხავიან თავს და ავად ხდებიან. ცუდ ხასიათზე ხარ? ცხოვრებამ არ გაგიმართლა? ეს არ შეიმჩნიო და ჩათვალე, რომ ყველაფერი კარგადაა. ამით ჯანმრთელობას შეინარჩუნებ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქუთაისი-ნიუპორტი

გვესაუბრება ცნობილი ანგლისტი პროფესორი მადონა მეგრელიშვილი



ქუთაისი ყოველთვის იწონებდა თავს ისეთი სახელოვანი მეცნიერებით, რომელთა სახელი მთელი საქართველოსათვის სასიქადულო იყო. მათ შორის თავისი მაღალი პროფესიული დონით, მოქალაქეობრივი სიწმინდითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობით გამოირჩევა აკ. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრის გამგე, ცნობილი ლინგვისტი, ქალბატონი მადონა მეგრელიშვილი, რომელმაც 1978 წელს დიდ ბრიტანეთში, ოქსფორდის უნივერსიტეტში აიმაღლა კვალიფიკაცია, 1984 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა კიდეც პროფესორის წოდება. იგი დღემდე კურატორობს უცხო ენების სწავლებას დასავლეთ საქართველოში და ამავე დროს არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭების სპეციალიზებული საბჭოს წევრი. იგი ხშირი სტუმარია ბრიტანეთისა, აქვს კონტაქტები ინგლისელ და ამერიკელ კოლეგებთან. იგი ქუთაისი-ნიუპორტის საერთაშორისო ასოციაციის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ამავე ასოციაციის თავმჯდომარეც არის.

სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით ესაუბრება ჩვენი კორესპონდენტი ქალბატონ მადონა მეგრელიშვილს:

**— ქალბატონო მადონა! ჩვენი მკითხველისათვის საინტერესოა, როგორ დაიწყო ურთიერთობა ბრიტანელ მეგობრებთან?**

— 1989 წლის 15 აგვისტოს ქუთაისს ეწვია ნიუპორტის დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა თვით ამ ქალაქის მერი ქალბატონი როზმარ ბატლერი. ახლდა წარმომადგენლობითი დელეგაცია: ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ბატონი ჰარი ჯონსი, რომელიც ამჟამად მთელი ბრიტანეთის მუნიციპალური მმართველობის უფროსია. აგრეთვე დელეგაციაში იყვნენ კონსერვატორული პარტიის ლიდერი ტრევორ უორენი და მთავარი აღმასრულებელი ქრისტეფორ ტაფი. მათი სურვილი ამ ორი ქალაქის დამეგობრება იყო. ისინი გაეცვნენ ქუთაისს, ცნეს კიდეც ღირსეულ პარტნიორად და ერთი თვის შემდეგ შედგა დელეგაცია ქალაქის მაშინდელი ხელმძღვანელის ბატონ თეიმურაზ შაშიაშვილის მეთაურობით და გავემგზავრეთ ნიუპორტში. ნიუპორტში დაიდო საქმიანი ხელშეკრულება ორი ქალაქის დაძმობილების შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერა ქალბატონმა როზმარ ბატლერმა და ბატონმა თეიმურაზ შაშიაშვილმა. პირველ ეტაპზე ეს ხელშეკრულება ითვალისწინებდა საქმიან ურთიერთობებს კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში.

**— რა გაკეთდა ამ ურთიერთობის შედეგად?**

— პირველად, ქუთაისელ მხატვრებს მიეცათ შესაძლებლობა თავიანთი ნამუშევრები გაეგზავნათ საგამოფენო გალერეებში. ქუთაისელმა ახალგაზრდა პიანისტებმა სამჯერ მიიღეს მონაწილეობა ნიუპორტის ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსებში. ბრიტანეთის ტრადიციულ ყვავილების ფესტივალში მონაწილეობდა ბავშვთა ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი „იმედი“. მომზადდა დახმარების პროგრამა მცირე ბიზნესის სფეროში. ნიუპორტელებმა ქუთაისში გახსნეს მცირე ბიზნესის ხელშემწყობი ცენტრი, რისთვისაც ევროგაერთიანებიდან ქუთაისს სამი მილიონი დოლარი მიეცა მცირე ბიზნესის განვითარებისათვის და სხვა ბევრი რამ. ჩვენს ქვეყანაში მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, დაძმობილებულ ქალაქებს შორის არ შეფერხებულა ურთიერთობა. პირიქით, ეს შესაშური ურთიერთობა განსაკუთრებით ნაყოფიერი გახდათ 1996 წელს. ამ წელს ცალკეული დარგების განვითარებაზე მუშაობის ერთობლივ პროგრამას ჩაეყარა საფუძველი, რისთვისაც ნიუპორტში 3-4 კვირიანი სასწავლო ვიზიტით ქუთაისიდან სხვადასხვა

ლარგის წარმომადგენლები გაიგზავნა: სპორტსმენები, ინგლისური ენის მასწავლებლები, პოლიციის, ტრანსპორტის, ტურიზმისა და სასტუმროების მართვის ხელმძღვანელი მუშაკები, ექიმები და ერთი სტუდენტი, ერთი წლით, რომელმაც გაიარა ბიზნესის მართვის, ეკონომიკისა და კომპიუტერის კურსი.

წლეულს კი ქუთაისს საპასუხო ვიზიტით ეწვია ჟურნალისტთა, უნივერსიტეტის, ექიმთა, ტრანსპორტის ხელმძღვანელ მუშაკთა, მუზეუმის საერთაშორისო ექსპერტების დელეგაციები. ველოდებით ტურიზმისა და პოლიციის ჯგუფებს.

**— ქალბატონო მადონა, ყველასათვის ცნობილია, რომ ქ-ნი როზმარ ბატლერი აირჩიეს ქუთაისის საპატიო მოქალაქედ. როგორ შეხვდა ამ ცნობას თვით ქ-ნი როზმარი?**

— როზმარმა სამადლობელი წერილი გამოუგზავნა ბ-ნ თეიმურაზ შაშიაშვილს, ქუთაისი-ნიუპორტის ასოციაციასა და ქსუ-ს ინგლისური ენის კათედრას. მისი დიდი განცდის და მადლიერების გადმოსაცემად წარმოგიდგენთ მის ერთ წერილს:

„ჩემო ძვირფასო მეგობრებო,

თქვენ ალბათ წარმოიდგენთ, როგორ გამიკვირდა, მაგრამ აღფრთოვანება ვერ დავმალე, როდესაც შევიტყვე, რომ დიდი პატივი დამდეთ გავმხდარიყავი ქუთაისის საპატიო მოქალაქე.

ვერც კი წარმომიდგენია, რომ ეს შეიძლება მომხდარიყო და პირველად ჩემს სიცოცხლეში ზედმეტი სიხარულისაგან ხმა ვერ ამოვიღე. შემძრა თქვენმა თბილმა მილოცვებმა. დიდი მადლობა ასეთი კეთილი განწყობისათვის.

ეს პატივი მარტო მე არ მეკუთვნის, არამედ იმ ადამიანებსაც, რომლებმაც დიდი ღვაწლი დადეს ამ კეთილშობილურ საქმეს განვლილ რვა წელიწადში. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ქალბატონი მადონა მეგრელიშვილის მიერ გაწეული თავდაუზოგავი შრომა ასოციაციის ნაყოფიერი საქმიანობისათვის.

დამეგობრების პირველ მძიმე წლებში გაწეულმა დიდმა შრომამ შედეგი გამოიღო, და ამჟამად ჩვენი საქმიანობა ადგილობრივი მმართველობის საერთაშორისო ორგანიზაციამ შეაფასა როგორც საუკეთესო.

ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამდენი შესანიშნავი მეგობარი მყავს ქუთაისში და ყოველთვის სახლში მგონია თავი, როდესაც არ უნდა ვეწვიო საქართველოს.

მადლობა ყველას იმ სითბოსათვის, რომელსაც ჩვენთან ურთიერთობაში გამოხატავთ და იმისთვისაც, რომ ასე სწრაფად შეგვიყვარეთ სულითა და გულით.

საუკეთესო სურვილებით **როზმარი ბატლერი.**

ნიუპორტ-ქუთაისის ასოციაციის თავმჯდომარე.

— მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი ფაქტი. ასოციაციის მუშაობის გაცნობის მიზნით ქუთაისში ჩამოვიდა ადგილობრივი მმართველობის ინტერნაციონალური ბიუროს დირექტორი ბ-ნი ჯეიმს ბიდლი, რომელიც ქუთაისში გამომგზავრების წინ შეხვდა ბრიტანეთის მხრიდან ამ მეგობრობის სულისჩამდგმელს ქ-ნ როზმარ ბატლერს და აღფრთოვანდა მისი მუშაობით. ქუთაის-ნიუპორტის ასოციაციასთან შეხვედრამ კი ათქმევინა ბ-ნ ბიდლს, რომ ამ ორ ქალაქს შორის მეგობრობა უნდა იქცეს საერთაშორისო მოდელად.

**ნესტან კვეიძე**

**გამოგადგება**

# სასარგებლო რჩევები

აბრეშუმის დალიანდაგებული საბნის ზედაპირი კარგად იწმინდება პურის ქატოთი. ქსოვილს დააყარეთ კარგად გამშრალებული ქატო და გულდაგულ ახრისეთ. დაბინძურებული ქატო ახლით შეცვალეთ და პროცესი რამდენჯერმე გაიმეორეთ. გაწმენდის შემდეგ საბანი კარგად დაბერტყეთ.

ზამშის, ნატის ფეხსაცმელი კარგად იწმინდება წყალში გახსნილი ნიშადურის სპირტით, რის შემდეგაც ფეხსაცმელი დიდხანს ინარჩუნებს პეწს.

სამზარეულოში უსიამოვნო სუნი მაშინვე გაქრება, თუ ლიმონის ან ფორთოხლის ქერქს დაწვავთ.

საპურეს ძველი პურის უსიამოვნო სუნი იოლად მოშორდება, თუ კედლებს ძმრით გაწმენდთ.

ტიულის ფარდებს რომ ძველებური პეწი დაუბრუნდეს, ლილით ოდნავ შეფერილ წყალს ერთი ჭიქა რძე ჩაუმატეთ და გარეცხეთ.

რა მოვუხერხოთ ბზარს ფანჯრის მინაზე, სანამ ახლის ჩასმას მოვახერხებდეთ? — არც არაფერი, ფრჩხილების უფერო ლაქი წაუსვით ორივე მხრიდან, ამით არც გარეგნული შესახედაობა გაფუჭდება და, რაც მთავარია, არ ჩამოირეცხება.

როგორ მოვიშოროთ კოჟრი? — ხახვის ფურცლები 2 კვირის მანძილზე ვაშლის ძმარში ჩაალბეთ, საღამოობით კოჟრზე სქელ ფენად დაიდეთ და შეიხვიეთ. ასეთი კომპრესის წინ და შემდეგ ფეხებზე საპნიან-სოდიანი აბაზანის გაკეთებაა აუცილებელი. პროცესს იმეორებენ რამდენჯერმე, სანამ კოჟრი საბოლოოდ არ გაქრება.

ყვავილიანი ქოთნების სადგამ ლამბაქებს რომ მისთვის დამახასიათებელი ნალექი მოაშოროთ, ძმარგარეული თბილი წყლით გაწმინდეთ; 1 სუფრის კოვზი ძმარი 0,5 ლიტრ წყალზე.

მოჭრილ ყვავილებს სიცოცხლეს გაუხანგრძლივებთ, თუ ლარნაკში ნახშირის პატარა ნატეხს ან ნახშირის ფხვნილს ჩაამატებთ. ასეთივე წარმატებით შეგიძლიათ წყალში რამდენიმე წვეთი ნიშადურის სპირტი ან სუფრის მარილი (ერთი ჩაის კოვზი ერთ ლიტრ წყალზე) ჩაამატოთ.

დაბინძურებული შპალერის გაწმენდა იოლად შეიძლება პურის გულით, თუ მას ჭუჭყიან ლაქაზე დააგორგოლავებთ.

სალეჭი რეზინი ხშირად ეწებება ბავშვის ტანსაცმელს. იმისთვის, რომ იგი იოლად მოაშოროთ, აიღეთ ყინულის პატარა კუბიკი და წუთით მიწებებულ რეზინს დაადეთ. რეზინი გამაგრდება, იოლად მსხვრევადი გახდება და ტანსაცმელს მოშორდება.

ბოთლიდან მჭიდრო საცობი რომ იოლად ამოაძროთ, მას ცოტაოდენი ზეთი დააწვეთეთ და მცირე ხნის მანძილზე ცეცხლის თავზე გააჩერეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „საჩუქარი" — ცხოვრების ოცნება



**ქართული კინემატოგრაფიის პატრიარქის ნიკო დოლიძის შემოქმედება ეპოქის მაჯისცემას ასახავდა.**

**მისი ტრადიციების გამგრძელებელია ქალიშვილი ქეთი დოლიძე — მსახიობი და რეჟისორი, რომელთანაც ინტერვიუს ქვემოთ გთავაზობთ:**

**— ქ-ნო ქეთი, გაიხსენეთ ის წლები, როცა ორი მშვენიერი ბავშვი იჯექით უნივერსიტეტის კიბეებზე კინოფილმ „ჭრიჭინაში".**

— მაშინ ექვსი წლის ვიყავი. მეორე გოგონა ჩემი ბიძაშვილი თამრიკო დოლიძეა — რეზო, არჩილ და შოთა არველაძეების დედა. მიუხედავად მსახიობური მონაცემებისა მან ექიმობა ირჩია. ყველანი ერთ დიდ ოჯახში გავიზარდეთ, თამრიკო შესანიშნავად ცეკვავდა, ცეკვის ნიჭი ბაგრატიონებიდან მოსდგამდა, დედა — გუგული ბაგრატიონი, ჯანო ბაგრატიონის ბიძაშვილია. ჩვენ დებივით ვიზრდებოდით.

**— ბატონ ნიკო დოლიძის ერთადერთი შვილი ბრძანდებით თუ....**

— მყავს ორი ძმა, თემურ დოლიძე და თემურ ფალავანდიშვილი. პირველი თემური მამას პირველი მეუღლის ვაჟიშვილია, მეორე — დედაჩემის, თამარ ბირკაძის პირველი ქმრის, რომელიც სამამულო ომში დაიღუპა. ყველანი მამამ გაგვზარდა. დედა 36 წლის ასაკში გარდაიცვალა. მე ხუთი წლის დავრჩი. მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე იყო, როგორც ამბობენ, დედა დახვეწილი გემოვნების ქალი ყოფილა, ისტორიის და ეკონომიკის ფაკულტეტები ჰქონდა დამთავრებული. ერთი წელი მამა ამ ოთახიდან არ გასულა, იჯდა სავარძელში, ვეჯექი მუხლზე, არაფრის გაგონება არ სურდა. ასე გლოვობდა უმშვენიერეს მეუღლეს.

რევაზ თაბუკაშვილის ბაბუა და ბებიაჩემი და-ძმანი იყვნენ. მეამაყება, რომ ასეთი სანათესაო მყავს. ადამიანის მშვენიერებამ პირველად მაშინ გამაოცა, როცა ამ სავარძელში მსხდომი სტუმრები — ნატო ვაჩნაძე, მედეა ჯაფარიძე, რეზო თაბუკაშვილი და ციალა — რეზოს და (ისიც საოცრად ლამაზი) ვიხილე. მუდამ ლამაზი ხალხით ვიყავი გარემოსილი.

**— რა დამოკიდებულება გაქვთ პოლონეთთან, ქმარი პოლონელი ხომ არ გყავთ, იგი თქვენი პირველი მეუღლეა?**

— პოლონური ენა თავად შევისწავლე. რამდენიმე თვე აზერბაიჯანის ერთ-ერთ ცნობილ მსახიობზე ვიყავი გათხოვილი, ეს უფრო გატაცებას ჰგავდა. ჩემი მეორე ქმარი კოკა ბზიავა ცნობილი მეტალურგია, მისი პირველი მეუღლე პოლონელი იყო. ენის შესწავლა ამასთან კავშირში არაა, უბრალოდ დამთხვევაა. კოკას ძალიან აფასებენ პოლონეთში, ტექნიკურ მეცნიერებათა სამგზის ლაურეატია. მისი შვილები მანანა და იაცეკი—გიორგი პოლონეთში ცხოვრობენ, საკუთარ შვილებში არ ვარჩევ. ჩვენი საერთო შვილებიდან — თორნიკე 18 წლისაა, თამარი — 16.

**— როგორ და როდის დაიწყო თქვენი შემოქმედებითი მოღვაწეობა, მქონდა ბედნიერება, როგორც კორესპონდენტი, ორჯერ შევხვედროდი მამათქვენს, ცნობილ რეჟისორს ბატონ ნიკო დოლიძეს, თქვენ სად იყავით მაშინ?**

— ...ჩავირიცხე ბატონ მიშა თუმანიშვილის სახელოსნოში სარეჟისორო ფაკულტეტზე, ორი წელი ვიყავი იმ ჯგუფში, სადაც სწავლობდნენ: მარინე ჯანაშია, ნანი ჩიქვინიძე, ნანა კვასხვაძე, ნუგზარ ბაგრატიონი, ლალი ნიკოლაძე, დათო კვირცხალია, მანანა გამცემლიძე, ისინი ჩემზე უმცროსები იყვნენ. ეს იყო მიშა თუმანიშვილის პირველი ჯგუფი, მე-11 აუდიტორია ერქვა და თეატრად უნდა გადაკეთებულიყო, მაგრამ ვერ გადაკეთდა. ჩვენი პედაგოგი თემურ ჩხეიძე გახლდათ, დავდგით შესანიშნავი სპექტაკლები — „ნეაპოლი მილიონერთა ქალაქი", „თოლია", „გუშინდელნი". ეს სპექტაკლები შემდეგ ბატონმა თემურმა რუსთაველის თეატრში გადაიტანა. ბატონ მიშას გამორჩეულად უყვარდა რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე, გიორგი ქავთარაძე, მედეა კუჭუხიძე, ნუგზარ ლორთქიფანიძე. ბოლო დაუმთავრებელ წიგნში ბატონი მიშა ბევრს წერს ბატონ რობერტზე. თუ არ მოსწონდი და არ უყვარდი, როგორც მსახიობი და რეჟისორი, ბატონი მიშას გვერდით ვერ იქნებოდი. მასთან კონტაქტი საამაყოც იყო და ძნელიც, დიდ შრომას მოითხოვდა და იმიტომ. მე მის რამოდენიმე სპექტაკლში ვიყავი დაკავებული.

**— ქ-ნო ქეთი, თუ უხერხული არ იქნება, ჩაგვახედეთ კულუარებში, რა მოხდა კინომსახიობთა თეატრში, რომელიმე პიროვნების ახირება იყო, თუ რაიმე კლანი მოქმედებდა, თქვენ რა მოიმოქმედეთ, ისევ გააგრძელეთ მუშაობა, თუ...**

— ბატონი მიშას დროს დავდგი სპექტაკლი „ვეფხვი", არ ჩარეულა ბატონი მიშა, ხელი არ უხლია მისთვის. შემაქო, რაც იშვიათი შემთხვევა იყო... როცა „კუკარაჩაზე" და „კაცია-ადამიანზე" ვმუშაობდი, მამას პრაქტიკულად აღარ შეეძლო და ტიტრებზე სიმბოლურადაა მოხსენიე-

ბული. როგორც მოწაფე, ყველაფერს ბატონ მიშას ვუთანხმებდი — სინჯებს, მსახიობებს... ბატონ ნოდარს მოეწონა „კუკარაჩა“ და აღნიშნა, ეს ნამდვილი ნოდარ დუმბაძეაო. ყოველივე ამის შემდეგ, ბოლო ორი წლის მანძილზე ბევრი დაუმსახურებელი ტკივილი მომაყენეს. ვერასოდეს ვაპატიებ თეატრმცოდნე ნათელა არველაძეს იმას, რაც მან ჩემს მიმართ ჩაიდინა თავისი პუბლიკაციით. ბევრი რამ დამაბრალეს, ხან თითქოს მინისტრობა მინდოდა, ხან პოლონეთის ელჩობა. ეს გამიზნულად დაყრილი ჭორია და სხვა არაფერი. მინდა ორი სპექტაკლი დავდგა და ორი ფილმი გადავიღო.

...ფესტივალით „საჩუქარი“ მივაღწიე იმას, რაზედაც მთელი ცხოვრება ვოცნებობდი — პატივი მიმეგო ჩვენი უსაყვარლესი პედაგოგის მიშა თუმანიშვილისათვის. არ მაპატიეს ეს სიხარული. რა თქმა უნდა, კინომსახიობთა თეატრში ვმუშაობ ისევ რეჟისორად. ეს თეატრი ჩემი ხელდასმულიცაა, 1975 წელს სრულიად ახალგაზრდა მივედი ქ-ნ ვიქტორია სირაძესთან და ვთხოვე ეშუამდგომლა ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან თეატრის გახსნისათვის. მართალია, მაშინ ბევრის რისხვა დავიმსახურე, ბევრმა თავხედობაში ჩამომართვა ეს ნაბიჯი. ბ-ნი მიშა თუმანიშვილის „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“ გახდა ამ თეატრის ნათლობა. ხელი შეგვიწყო ბ-მა რეზო ჩხეიძემ. აი, ასე ჩამოყალიბდა კინომსახიობთა თეატრი. ამიტომაც არ მპატიობენ, მე კი არა — გიორგი ლევაშოვ-თუმანიშვილსაც ებრძვიან, რატომ შექმნა ხელოვანთა საერთაშორისო ფედერაცია, რა ხერხებით არ ებრძვიან კინოფიკაციას, რაც კარგს არაფერს მოგვიტანს.

**— შარშან გამართულ ფესტივალზე „საჩუქარი“ ზოგი იმასაც კი ამბობდა, ეს ქეთი დოლიძის ფესტივალი იყოო. არადა, ეს ხომ ჭეშმარიტი ხელოვნების ზეიმი იყო. მიჩვეული ხართ ამგვარ უმადურობას თუ მოულოდნელი იყო თქვენთვის ასეთი რამ?**

— მაინცდამაინც დიდი რეაქცია არ მქონია. როცა ჩვენი დიდი მაესტრო ბატონი ჯანსუღ კახიძე დაწერს, რა საჭირო იყო „ბრავო“ და მიშა თუმანიშვილის ფესტივალიო, გული გეტკინება, მაშინ, როცა ბატონ ჯანსუღს ჩვენი არცერთი სპექტაკლი არ უნახავს, ეს ხომ ქართველი ხალხისთვის ნამდვილი საჩუქარი გამოვიდა, უცხოეთში მას დიდი გამოხმაურება ჰქონდა, ამის ნათელი დადასტურებაა ბრიტანული გაზეთის „ჰერალდის“ გამოხმაურება. „ამ პირველი ფესტივალის შემდგომ აშკარაა, რომ ქვეყანამ კიდევ ერთი საერთაშორისო ასპარეზი შეუქმნა მსოფლიოს, ხოლო თავად ქართული კულტურის საზიარებლად შეიკრიბა საერთაშორისო აუდიტორია, რამაც ხელი შეუწყო მის ძველ და ახალ მიღწევათა აღიარებას, და რადგან ფესტივალმა ეს შეძლო, მაშინ, ალბათ, გვაქვს უფლება ვიფიქროთ, რომ „ნაომარმა“ ქვეყანამ მთელს ევროპას კიდევ ერთხელ უპასუხა ნაცნობ კითხვაზე, რომ ხელოვნება თავისუფლად შეიძლება იქცეს მშვიდობის დამკვიდრებისა და ურთიერთთანხმობის ძალად და საშუალებად“.

დიდი დახმარება გაგვიწია ბატონმა პრეზიდენტმა, ნიკო ლეკიშვილმა, ზურაბ ჟვანიამ, ლანა ღოღობერიძემ, ბადრი შოშიტაიშვილმა, დემურ მიქაძემ, რევაზ ამაშუკელმა, ტრანსპორტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა, მარჯანიშვილის თეატრმა, არაფერს ვამბობ სპონსორებზე, არცერთი კაპიკი არ მიგვიცია ფესტივალის მონაწილეებისათვის, ყველაფერი საქართველოში დარჩა, ნუთუ ეს არ კმარა...

**— გეამაყებათ ალბათ, ისეთ ოჯახში დაიბადეთ, მისი ტრადიციები გიწყობდათ ხელს თუ პირიქით. როცა ალექსეი ტოლსტოის შვილს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს ეკითხებოდნენ, თუ რატომ განუდგა ოჯახურ ტრადიციებს, პასუხობდა — პროტესტის ნიშნად, იმდენად გაჯერებული ვიყავი ხელოვნებით, ლიტერატურით, რაც ჩემს ოჯახში სუფევდა, ვერ ვიქნებოდი თავისუფალი, დამოუკიდებელიო. როცა შვილი ოჯახურ ტრადიციას აგრძელებს, თითქოს ორმაგ ვალდებულებას კისრულობს.**

— იოლად არაფერი მიმიღია. არც მამის სახელი გამომიყენებია ბოროტად. „კუკარაჩას“ შემდეგ მამა ამაყობდა ჩემით. ჩვეულებრივი მოვლენაა კინოში, თეატრში, მხატვრობაში, მედიცინაში, დინასტიათა არსებობა.

**— რა როლი ითამაშა თქვენს ცხოვრებაში მეგი წულუკიძემ?**

— მამაჩემის მეუღლე იყო. პატივს ვცემდი. მამამ მეგი უფრო ადრე გაიცნო და დაუახლოვდა, ვიდრე ჩვენს ცხოვრებაში შემოვიდოდა. პირველად რთულად მივიღეთ, მერე მე და ჩემი ძმა მივედით და ვთხოვეთ, ჩვენთან გადმოსულიყო. აქვე მინდა დავამატო, მყავს კიდევ ორი და — მეგის ქალიშვილები — გურანდა და ლერი. გურანდას შვილი ხათუნა ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მუშაობს, ჩვენ ერთად გავიზარდეთ. თექვსმეტი წელი ამ ჭერქვეშ ერთად ვცხოვრობდით, გურანდას მეუღლე ზურაბ იოსელიანი, შესანიშნავი ადამიანი, ადრე გარდაიცვალა. მან დაგვაკავშირა პეტრე და გიორგი იოსელიანებთან. ასეთი იყო ჩვენი ოჯახის ტრადიცია.

**— რას გვეტყვის ქეთი დოლიძე, როგორც პოლიტიკოსი?**

— კატეგორიულად ვაცხადებ, არავითარი პოლიტიკოსი არა ვარ. პოლიტიკოსი რომ ვიყო, მოქალაქეთა კავშირის წევრი ვიქნებოდი. ჩემი ქვეყნის ბედიდან გამომდინარე ვმოქმედებდი მუდამ და ასე ვიქნები მომავალშიც. ორი წლის წინ ღირსების ორდენით დამაჯილდოვეს, ეს არის ერთადერთი ჯილდო და წოდება ჩემს ცხოვრებაში.

**— რას გვეტყოდა ქეთი დოლიძე, როგორც რეჟისორი?**

— კინომსახიობთა თეატრში დავდგი „სერობა“, ვმუშაობ ამერიკულ პიესაზე „კილი და დუ“, რომელშიც დაკავებული არიან ლია კაპანაძე და ლალი კეკელიძე. მაქვს თამარ ბართაიას მშვენიერი სცენარი ქუჩის ბავშვებზე, მაგრამ უფულობის გამო ხელი მეშლება.

სულ ექვსი კინოფილმი გადავიღე: „კაცია ადამიანი“, „კუკარაჩა“, „სანამ წვიმა გადივლიდეს“, „მარტოხელა მონადირე“, „ო, რა ტკბილია განშორების ეს ნაზი სევდა“ და პოლონეთში „დინოზავრის კვერცხი“, რომელშიც მარინე ჯანაშია და დანიელ ოლბრიხსკი მონაწილეობენ.

**— თქვენი კრედო?**

— სიმართლე და მხოლოდ სიმართლე. ცხოვრებაში არავინ მომიტყუებია, დაფარულად არაფერი მიკეთებია, თუმცა ზოგჯერ ჩემთვის წამგებიანიც კი ყოფილა. ქართლური პირდაპირობა ჭარბობს ჩემში. მორწმუნე ვარ, ამან დამადგმევინა „სერობა“, ბაბუა მღვდელი მყავდა. ურწმუნოებაზე დიდი ცოდვა ამქვეყნად არაფერია, რადგან ყოველი უბედურების სათავე სწორედ ურწმუნოებაა, ურწმუნო ადამიანი კი ყველაფრის უფლებას აძლევს თავს.

●

P. S. ...ამასობაში მეორე „საჩუქარმა“ წარმატებით ჩაიარა. თუმცა აზრთა დიდი სხვადასხვაობით, მაგრამ დაპირებული „საჩუქარი“ მაინც მივიღეთ. მის ავ-კარგზე სხვა დროს ვისაუბროთ.

**ნანული ბუკია**

პრობლემა

# პროფესიონალიზმის დეფიციტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ ქალბატონ ნათელა ურუშაძეს ჩემი გულისტკივილი გავუზიარე, ერთ-ერთ გაზეთში დასტამბული ბევრი თვალსაზრისით მიუღებელი რეცენზიის გამო და იცით, რა მიპასუხა? — ჩვენი ბრალია, რატომ ვაძლევთ უფლებას ყველას, ვისაც მოესურვება, რაზეც მოესურვება, ერკვევა თუ ვერ ერკვევა განსახილველი ობიექტის არსში, წეროს!., როდესაც ჩემს გამომეტყველებაში გაკვირვება ამოიკითხა, განმიმარტა: რასაკვირველია, აკრძალვის უფლება არა გვაქვს, მაგრამ ჩვენი პასიურობით, გულგრილი დამოკიდებულებით გრაფომანებს ფრთები ესხმით და ისინიც „უბრძოლველად“ ეუფლებიან სარბიელს, ყველაფერზე წერენ — თეატრზე, კინოზე, მუსიკაზე, მხატვრობაზე...

სამწუხაროდ, ბოლო პერიოდის ჩვენი პრესა, ტელევიზია, ინფორმაციის სხვა საშუალებები, დილეტანტების მომრავლების, ხშირ შემთხვევაში მათი მომძლავრების ნოყიერ ნიადაგად გადაიქცა, რაც შემაშფოთებელი სიმპტომია — ეს კარგს არაფერს გვიქადის! არანაკლებ შემაშფოთებელია ის ფსიქოლოგიური განწყობილება, საკუთარ ძალებში რწმენა, თვითდაჯერება, საფუძველს მოკლებული ამბიციურობა, რაც ასეთი კატეგორიის ავტორთა გამოკვეთილი პოზიციაა. დრომ, ეპოქამ ახალი ხედვა, ახალი დამოკიდებულება მოიტანა. ზერელედ გაგებულმა თავისუფლებამ საპირისპირო შედეგი მოგვიტანა, დაირღვა მოთხოვნათა კრიტერიუმი. არცთუ შორეულ წარსულში, რაც ყველამ შესანიშნავად ვიცით, მეტად რთული იყო და, შესაბამისად, პრესტიჟულიც რეცენზიის გამოქვეყნება. ამ უფლებას მოპოვება სჭირდებოდა. დღეს კი რა ხდება?! ვისაც ორი წინადადების ერთმანეთზე გადაბმა შეუძლია (ზოგი ამასაც ვერ ახერხებს), არჩევანი თავისუფალია — ასპარეზი შეუზღუდავი! კი, ბატონო, ახალბედა ჟურნალისტს თვითდამკვიდრების საშუალება უნდა მიეცეს, მაგრამ ექსპერიმენტი ხელოვნების ურთულესი სფეროს შეფასებაში, ყოვლად დაუშვებელია. განა ცოტაა სხვა თემები — ზოგადი, უპრეტენზიო, სადაც შეიძლება ხელი გაიწაფო? მაგრამ ამ შემთხვევაში აზროვნებისა და წერის დონე მინიმალურ სტანდარტებს მაინც უნდა აკმაყოფილებდეს.

ხელოვნების დარგებს ერთმანეთთან ბევრი საერთო აქვს, მაგრამ ამავე დროს იმდენად სპეციფიკურია თითოეული მათგანი, რომ არცკი მაგონდება შემთხვევა, თეატრის ცნობილ მკვლევარს ინტენსიურად ემოღვაწოს კინოხელოვნებაში, ან პირიქით — კინოკრიტიკოსს ეკისროს მისია თეატრის სპექტაკლის შეფასებისა. რატომ? განა ისინი ჟურნალისტებზე ნაკლებ საინტერესო რეცენზიებს შემოგვთავაზებენ? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ საქმისადმი მათი დამოკიდებულება მაღალპროფესიულია! ჩვენ კი მომრავლებული პრესის ბევრ „სტაჟიან“ ავტორს ჩამოგითვლით, რომლებიც როგორც ჩანს, უნივერსალიზმის სინდრომით არიან შეპყრობილნი. სხვაგვარად ძნელია ახსნა მათი მოღვაწეობის ესოდენ ფართო დიაპაზონი.

ბოლო დროს ერთგვარ მოდად იქცა (მხედველობაში მაქვს ახლადდაარსებული ჟურნალ-გაზეთები) რედაქციის მინაწერი: „სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი“. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ, როდესაც მავანი და მავანი თავს უფლებას აძლევს შეაფასოს, დავუშვათ, რუსთაველის ან მარჯანიშვილის სახელობის თეატრების სპექტაკლები, სადაც ყველაფერი მრუდე სარკეშია დანახული, „კრიტიკოსი“, როგორც იტყვიან, ქვას ქვაზე არ ტოვებს, ამ შემთხვევაში ნუთუ რედაქცია არავითარ პასუხისმგებლობას არ ინაწილებს? ან პირიქით, თეატრის ამა თუ იმ ნამუშევარზე შემუშავებული იყოს სპეციალისტთა ერთიანი უარყოფითი აზრი, გაზეთის „საკუთარი რეცენზენტი“ კი ხოტბა-დი-

---

აფხაზეთი — ჩვენი სატკივარი

## აძიუბჟაში

ოჩამჩირის რაიონის სოფელ აძიუბჟაში, საავტომობილო გზატკეცილთან ახლოს, ერთი ძეგლი დგას — დედა ჩ[illegible]ილი ბავშვით ძეგლს „ადამიანის დაბადება“ ჰქვია, მაქსიმ გორკის მოთხრობის სათაურის მიხედვით. გზატკეცილი გასული საუკუნის 90-იან წლებში გაიყვანეს, მას მშიერთა გზატკეცილსაც უწოდებდნენ ძველად, რადგან მის გაყვანაზე მოუსავლიანობისაგან დამშეული რუსეთის გუბერნიებიდან გამოქცეული გლეხები მუშაობდნენ. იმ დროს ამ გზაზე გაიარა მომავალმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ. იგი ბუჩქებში წააწყდა მშობიარე თანამემამულე ქალს, და უნებურად იქცა ადამიანის დაბადების მოწმედ და დამხმარედ, რასაც გვიან მოთხრობა უძღვნა. ასე გახდა ბოგანო ქალთან დაკავშირებული შემთხვევა ჯერ მოთხრობის და შემდეგ, მოთხრობის წყალობით, ძეგლის დადგმის მიზეზი.

დიახ, აძიუბჟაში გორკის გაუვლია. 1893 წლის ზაფხულში, 100 წლის შემდეგ, მისი ნაწარმოების აღსანიშნავად დადგმულ ძეგლთან, ტყვარჩელიდან სოხუმისკენ გაიარა ავტობუსმა, რომელსაც არასრულწლოვანი ქართველი გოგონები მოსალოგინებლად მიჰყავდა სამშობიარო სახლში. მათ უნდა ეშვათ არა სიყვარულის, არამედ მხეცური ძალადობის, დამცირებისა და ყმაწვილურ ოცნებათა კოშმარული მსხვრევის ნაყოფი. უმძიმესი იყო ამ ფერმიხდილი გოგონების შიშჩამდგარი თვალების ხილვა. ისინი მარტონი და დაუცველნი აღმოჩნდნენ პირადი უბედურების პირისპირ. ომის ქარიშხალმა მათ ოც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცუდ სამსახურს გვიწევს

დებას ასხამდეს მას. აქ შეიძლება ვინმე შემომედავოს — თქვენ არ მოგწონთ, სხვას კი მოეწონა! გეთანხმებით, გემოვნებაზე არ დავობენ, მაგრამ ქებასაც და ძაგებასაც ხომ საკუთარი შეხედულებების დასაბუთებული, საბუთიანი ანალიზი ესაჭიროება, რაც, სამწუხაროდ, თითქმის ყოველთვის უგულვებელყოფილია.

არ მინდა ზოგიერთმა ისე გამიგოს, თითქოს დილეტანტიზმში სპეციალისტის დიპლომის უქონლობას ვგულისხმობდე, არავითარ შემთხვევაში! რამდენსაც გნებავთ დიპლომიან დილეტანტებს ჩამოგითვლით და პირიქით — უდიპლომო დიდოსტატებს. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, გენიალური გიორგი შავგულიძის მაგალითიც იკმარებდა! პროფესიონალიზმი შემდგომ, თანდათანობით, დიდი შრომისა და დაკვირვების შედეგად ყალიბდება. ჩვენთან კი, რატომღაც, ყველაფრის ერთი ხელის დაკვრით, იოლად მიღწევა და რაც განსაკუთრებით დამაფიქრებელია, ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე ეკიდებიან უაღრესად საპასუხისმგებლო საქმეს. უპასუხისმგებლობის, მოვლენათა არსში ზერელედ წვდომის სახიერი ნიმუშია ერთ-ერთი თეატრმცოდნის მიერ ღვარძლითა და ტენდენციურობით გამორჩეული, ქართული რეჟისურის უბრწყინვალესი წარმომადგენლის მიხეილ თუმანიშვილის სარეპეტიციო ჩანაწერების მისეული ინტრიგანული ვერსიის საგაზეთო პუბლიკაცია, როგორც ჩანს სენსაციური გამოხმაურების მოლოდინის იმედით. მოხდა კი პირიქით, რასაც შესანიშნავი , დასაბუთებული პასუხი გასცა ნათელა არველაძემ. ვფიქრობ იმ პუბლიკაციის დონისა და ზნეობის თეატრმცოდნეს გაუთვითცნობიერებელი პოზიციისა და მოქალაქეობრივი პლატფორმის უქონლობის გამო, უფლება არა აქვს შეეხოს და გააუხამსოს ქართველი ერის ცნობიერებაში დამკვიდრებული სულიერი ფასეულობები.

აქვე მინდა ერთი შემთხვევაც გავიხსენო. საქართველოს თეატრების რესპუბლიკურ ფესტივალზე, სადაც ყოველი წარმოდგენის შემდეგ იმართებოდა განხილვები, ეთერ გუგუშვილმა, რომელიც მაშინ თეატრალური ინსტიტუტის რექტორი იყო, ერთ-ერთ თავის ყოფილ სტუდენტზე, რომლის დადგმაც ამ ფესტივალზე აჩვენეს, ასეთი ფრაზა თქვა — ჩემი ნება რომ იყოს, ამ ნამუშევრისათვის მას დიპლომს ჩამოვართმევდიო. ხომ შეიძლებოდა ქალბატონი ეთერი გაჩუმებულიყო, მითუმეტეს, როდესაც მის აღზრდილს და, მაშასადამე, ინსტიტუტის პრესტიჟსაც ეხებოდა საქმე, მაგრამ იგი სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა, პროფესიულ სინდისს ვერ უღალატებდა. განა იგივე პოზიციას არ უნდა იზიარებდეს ჟურნალ-გაზეთები, რადიოტელევიზია?! მაგრამ არა, ხშირ შემთხვევაში ისინი მათ დამცველებად გვევლინებიან, რაც, სამწუხაროდ, მათსავე არაკომპეტენტურობაზე მიგვანიშნებს.

ამ ბოლო დროს ეთერშიც ასპარეზი დაეთმო შემთხვევით პირებს, რომელთაც არანაირი მიმართება არა აქვთ ხელოვნების დარგებთან, ან თუ აქვთ, იმდენად დაბალია მათი ინტელექტუალური დონე, რომ ხშირად კურიოზული სიტუაციებიც კი იქმნება. კურიოზია, აბა სხვა რა დავარქვათ, როდესაც ერთი ტელეჟურნალისტი ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე აქიაქებს რუსთაველის თეატრის უაღრესად საინტერესო ნამუშევარს — „ქალი—გველი“, ხოლო რობერტ სტურუაზე ასკვნის — რეჟისორი შემოქმედებით კრიზისს განიცდისო.

საქართველოს ხელოვნება მსოფლიომ აღიარა. თუკი რამ საამაყო და თავმოსაწონებელი გაგვაჩნია, ეს ჩვენი კულტურა და ხელოვნებაა. ამ დარგების შეფასებისას ასუთივე მაღალი კრიტერიუმებით უნდა ვიმოქმედოთ.

**პაჭა ძიგუა**

# ერთი ძეგლია

## სულის კივილი

ნებებს ფრთები შეამსხვრია, სასიყვარულოდ აფეთქებული გული ფეხქვეშ გაუთელა, სილაღე და სიამაყე ხერხემალში გადაუტეხა.

დრო, მხოლოდ დრო მოაშუშებს მიყენებულ ჭრილობებს. ახალგაზრდული წლები აუცილებლად თავისას გაიტანს, ისევ მოვა სიყვარული. მაგრამ როგორც ტყის კაფვისას ნორჩ ხეებს შემსხვრეული ტოტების ადგილას სამუდამოდ რჩებათ კორძები, ისევე გაჰყვება გოგონათა გულებს აფსუათა მხეცობისაგან დარჩენილი ნაჭდევები.

ვინ ჩამოთვალოს სხვა უამრავი ჩაფერფლილი სიყვარული? ნუთუ არ უნდა შობილიყვნენ არშემდგარი სიყვარულის ნაყოფნი? ასე დაემართათ ტყვარჩელელ აფხაზ ჭაბუკსა და ქართველ ქალიშვილს ეკას. ეკა გადამთიელი ბოევიკის ძალადობის მსხვერპლი გახდა. აფხაზმა ჭაბუკმა ვერ გაუძლო აფხაზებსა და ქართველებს შორის დანთებულ მტრობას და ტყვია იკრა შუბლში, ხელებში კი, რომლითაც მომავალში საკუთარი პირმშო უნდა აეყვანა, წერილი ჰქონდა ჩაბღუჯული: „მაპატიე, ეკა, მეტის ატანა არ შემიძლია“...

... ნადირი ჯერ კიდევ დაძრწის აფხაზეთის მიწაზე, ისეთი, როგორმაც გაგრის სამშობიარო სახლში ხანჯლით მუცელი გაუფატრა ქართველ ქალს და ბინძური ხელებით მოახრჩო ჯერ არშობილი ბავშვი.

ვინ აუგოს ძეგლი ამ ტრაგიზმით აღსავსე დასასრულს ქართველი ქალებისას? ვინ?

აძიუბჟაში ერთი ძეგლი დგას...

**მერი თოდუა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მედეა კახიძე

## ქალს სიყვარული უხდება

ქალი აბა რა ქალია
თუ სახლში დაჯდა
მოცლილი,
და მაინც არა სცალია
თუნდაც
ერთ კაცზე ლოცვისთვის.

ქალი ღვთის ნახელავია,
ქალს სინარნარე უხდება,
მაშინ, აბა რა ქალია
თუ სიტყვა დასცდა
უკმეხად.

ანთუ სიყვარულნასვამი
არ შემოგცინებს
კეკლუცად,
და ღამის ფარვანასავით
კოცონზე
ფრთებს არ შეტრუსავს.

ქალს სიყვარული უხდება,
გულია მისი საწყაო,
ქალს გულის ფესვი უხმება
ვინც უყვარს
თუ კი არ სწყალობს!

ქალი ფრთებს
წამსვე დაკეცავს,
თუ ვინმე
უარს შებედავს,
სჭირდება როგორც
ნაკვერჩხალს
ქალის გულს
სულის შებერვა.

ქალი თავს
თუ არ გაწონებს,
მაცდურად
თუ არ შეგხედავს,
ბედს არ შეაგდებს
სასწორზე,
შენი გულისთვის
ერთხელაც!
ქალი აბა რა ქალია,
მკლავებში
თუ არ აკვნესდა,
კოცნისთვის თუ არ სცალია,
არ იკეკლუცა სარკესთან.

სიყვარულს
თუ არ იმეტებს
გული ჩიტივით ფოფინა,
შეყვარებული ვინმეზე
თუ ერთხელაც არ ყოფილა!

## გაცრუებული ოცნება

ჩემი დღე და მოსწრება
სულ სიმღერას ვნატრობდი,
მე და ჩემი ოცნება
შინ ვისხედით მარტონი.
ახლა ცრემლად ვიღვრები,
ციდან დაბლა ვეშვები,
ვერ ავივსე სიმღერით
ცარიელი პეშვები.
შეველიე ვერაფრით
იმედს ძუნწის განძივით,
ვერ დავფარე შენამდი
არცთუ გრძელი მანძილი.
მხოლოდ სხვისთვის მეცალა
ჩემი დღე და მოსწრება,
ვერ ვაქციე მერცხალად
ერთი ციცქნა ოცნებაც.
ჩემი დღე და მოსწრება,
სულ ტყუილად ვღელავდი,
გაცრუებულ ოცნებათ
სავსე დავრჩი ყელამდი.

* * *

მო, სიყვარული
ჭალად ავტეხოთ,
შიგ ვერ გავიგნოთ
თავი და ბოლო...
ჩემი გულისკენ
გზა საცალფეხო
ქვეყნად შენ ერთმა
იცოდე მხოლოდ.

* * *

ნეტავ ეს მაინც ვიცოდე,
ჯულმა რად აგიჩემა,
მიყვარხარ! შენმა სიცოცხლემ,
ჩემი ქალობის მზემა.

ისევ ყვავიან შინდორზე
ფურისულა და ბალბა,
შენ მოსვლა აღარ ინდომე,
აღარ გახსოვარ ალბათ.
ჩემს წინ ლაღობენ ჩიტები,
აღარ იმჩნევენ დაღლას,
დავდივარ ჩუმად ფიჭვებში,
ფრთამოტეხილი ლაღლა.
შენს ხმას ვერც როდის მოვისმენ,
უშენოდ როგორ გავძლო!
ყოფილხარ, ჩიტო, როდესმე
დაწუნებული სასძლო?

## ასეთია რადგან ნება ღვთის

ცისარტყელა
სამოთხეში გადებული ხიდია.
ბავშვობაში გავდიოდი ზედ,
ახლა, ყველა
ხიდი ბეწვზე ჰკიდია,
უწინდელი შეუცვლია ზნე.
გზა ვიცოდი
უკვდავების წყაროსი,
ფერზე ვცნობდი
უკვდავების წყალს,
გზა ჩახრამა
ახლა ავმა ტაროსმა,
იმ წყაროსი აღარავის სწამს.
ბავშვობაში —
დავდიოდი — ზღვის პირას,
ვკრეფდი კენჭებს
გაჩენიდან ბრმებს,
და როდესაც
უსაშველოდ მიჭირდა,
ოქროს თევზი
მწვდა ხოლმე ბედს.
მე ბუნებას
ვკითხულობდი დედანში,
შევხაროდი
ველს — დაწინწკლულ ჩითს,
ვალამებდი
ჩიტუნების დევნაში,
წავწყდომოდი
რომ სამოთხის ჩიტს.
ვერ ვიპოვე
ვერსად ჩემი ედემი,
არც იმედი
აღარ დამრჩა ხსნის,
უმფარველოდ
ლობე-ყორის ვიდები,
და ყველაფერს
ბედისწერით ვხსნი.
რადგან ბედი
მე არ მეფოლორცება
ვერ ვიპოვე
ვერც სამოთხის ჩიტს,
არასოდის ამიხდება ოცნება
ასეთია, რადგან ნება ღვთის!

# „ნერგი" ჩვენი სიყვარულია



● მარინე თოფურიძე.

— **მარინე, დიდხანს ვფიქრობდი, როგორი ფორმა მიმეცა ჩვენი საუბრისათვის. შენთან (გაზეთის რედაქტორთან) ჩემი (ამავე გაზეთის თანამშრომლის) ინტერვიუ ცოტა ხელოვნური ხომ არ იქნება? ჩვენ, „ნერგელებს" ხომ ერთი საერთო საზრუნავი გვაქვს — გაზეთი! „ნერგი" კი ჩვენი საერთო სიყვარულია. ორივემ კარგად ვიცით, რა მაგიური ძალა აქვს ჩვენს გაზეთს. თუ ერთხელ დაუკავშირდა ადამიანი, ველარ დაეხსნება.**

— ჩემო ლინა, მართალი ხარ, ჩვენი გაზეთი ჩვენი საერთო სიყვარულია. იგი იმ ჩვილ ბავშვს ჰგავს, რომელსაც განსაკუთრებული ზრუნვა და მოფერება სჭირდება. ვისაც კი ამ გაზეთში ოდესმე უმუშავია, ძალიან გაძნელებია აქედან წასვლა.

— **მარინე, ჩვენ კარგად ვიცით, რომ „ნერგში" მუშაობა არ არის დაკავშირებული დიდ ფინანსურ ანაზღაურებასთან (თვითონ რედაქტორის ხელფასიც არ აღემატება 60 ლარს). ეს კი არა, ხომ იყო ისეთი დღეები, გაზეთის არსებობა ბეწვზე რომ ეკიდა...**

— გახსოვს, 1991 წელს, 7 თვე არ გამოდიოდა გაზეთი. არ ვიღებდით ხელფასს. ყველანი დაზაფრულები ვიყავით, გვეშინოდა, რომ არსებობას შეწყვეტდა 70 წლის გაზეთი და ამაში ყველაზე დიდი დამნაშავენი ჩვენ ვიქნებოდით.

მაშინ ჩავიცვით რკინის ქალამნები, თავმოყვარეობაზეც ხელი ავიღეთ „ნერგის" გულისათვის და პირველი ქველმოქმედებიც გამოგვიჩნდნენ. ბიზნესმენმა ა. მეიფარიანმა „ნერგს" მაშინდელი ორი მილიონი რუბლი გადმოურიცხა და ფაქტობრივად გაზეთს სიცოცხლე შეუნარჩუნა. თავი სიზმარში გვეგონა... მერე ცხონებულმა სოლიკო ხაბეიშვილმაც გაგვიმართა ხელი, სხვებიც დაგვიდგნენ მხარში და იმ ეტაპზე გაზეთს ვუშველეთ. მერე, ცოტა რომ დაწყნარდა ქვეყანა, სახელმწიფომაც გამოგვიყო სუბსიდიები, კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილემ, აწგარდაცვლილმა ვახტანგ სალიბეგაშვილმა ქსელში გაზეთი უფასოდ გაგვივრცელა.

ასე ნელ-ნელა წამოვდექით ფეხზე. გახსოვს ალბათ, იმ დროს ჩვენი მკითხველების გულისამაჩუყებელი წერილები რომ მოგვდიოდა, გვთხოვდნენ, გადაგვერჩინა გაზეთი. ხანდახან კონვერტში დაზოგილ კუპონსაც გვიდებდნენ და ბავშვური გულუბრყვილობით გვთხოვდნენ, გაზეთს მოახმარეთო.

— **მარინე, მე მგონი საგულისხმოა ის, რომ საბჭოური იდეოლოგიის დროს გაზეთი „ნერგი" (ყოფილი „ნორჩი ლენინელი") ახერხებდა ქართული საქმეები ეკეთებინა. უამბე მკითხველს ამის შესახებ, ჩვენი გაზეთის ისტორიაზე, მის ავტორებზე.**

— მიუხედავად მისი სახელწოდებისა, გაზეთი ყოველთვის ეროვნულ საქმეს ემსახურებოდა. ჩემი მოსწავლეობის პერიოდიდან შემომრჩა მეხსიერებაში „ჟამთაბერის დარბაზი". ამ რუბრიკას ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი შოთა ბადრიძე უძღვებოდა და საქართველოს ისტორიას აცნობდა ყმაწვილებს. მერე, წლების შემდეგ, აქ რომ დავიწყე მუშაობა, გაზეთის მაშინდელმა შესანიშნავმა რედაქტორმა ბატონმა ვანო ცერცვაძემ ასეთი რამ მიამბო: თურმე, პარტიის საკავშირო ცენტრალური კომიტეტი რესპუბლიკებში საბავშვო პრესის მუშაობას ეცნობოდა. რომ გაუგიათ, „ნორჩი ლენინელი" მეფეებზე ბეჭდავს წერილების ციკლსო, ბატონი ვანოსათვის შავი დღე უყრიათ. მას ძლივს დაურწმუნებია „უფროსი ძმები", რომ ქართველი მეფეები არა მარტო მეფენი, არამედ დიდი მწიგნობრები, მეცნიერები და მწერლები იყვნენ.

თუნდაც „სწავლულთა დარბაზის" შექმნა რად ღირდა! აი, რას წერს მაშინდელი „ნორჩი ლენინელი" ამ ფაქტის შესახებ. „ვისთვისაც ძვირფასია სამშობლოს წარსული, მისი დიდება, მისი მატერიალური კულტურის ძეგლები, მისი ბუნება — ჩაებით დიდ ლაშქრობაში, რომელსაც დღეიდან ვიწყებთ ჩვენი კულტურის ძეგლებისა და ბუნების დასაცავად. ლაშქრობას სარდლობას გაუწევს „სწავლულთა დარბაზი", ხოლო „სწავლულთა დარბაზის" წევრები — ჩვენი დიდი მეცნიერები და მწერლები შალვა ამირანაშვილი, ლევან გოთუა, ვასილ გულისაშვილი, ნიკო კეცხოველი, მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, ქსენია სიხარულიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, იასე ცინცაძე და ირაკლი ციციშვილი ასე მიმართავდნენ ბავშვებს: „უდიდესი კმაყოფილების გრძნობით შევიტყვეთ ფრიად სასიხარულო ამბავი იმის შესახებ, რომ იწყება საქართველოს მოსწავლეთა დიდი ლაშქრობა ჩვენი კულტურის ძეგლების დასაცავად". ბევრი ისტორიული ძეგლი გადარჩა მაშინ ყმაწვილთა მეოხებით.

რა ვიცი, რამდენი ერთი სასიკეთო საქმე გავიხსენო, მათი ჩამოთვლა, ალბათ შორს წაგვიყვანს. გაზეთი დღესაც აგრძელებს ამ დიდებულ ტრადიციებს. ძველი, რაც კარგი იყო, შევინარჩუნეთ, ახალი დავუმატეთ. დღეს ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა და ყმაწვილებთან ურთიერთობამაც ბევრი რამის შეცვლა მოითხოვა. მაგრამ გაზეთ „ნერგს" (ალბათ ყველამ არ იცის, რომ გაზეთის ნათლია ბავშვების უსაყვარლესი პოეტი მაყვალა მრევლიშვილია) არ უღალატია ძირითადისთვის — ბავშვის ზნეობრივი და სრულყოფილი აღზრდისათვის. გაზეთი სამი ძირითადი მიმართულებით მუშაობს „ენა, მამული, სარწმუნოება". გაჩნდა უამრავი ახალი რუბრიკა — „საქართველოში იბადებოდნენ", „ზნეობის სარკე", „სარწმუნოება", „საქართველოს

ეთნოგრაფიული კუთხეები", „სახელები" „ენა დედაა ერისა" და მრავალი სხვა. მიუხედავად დღევანდელი დუხჭირი ცხოვრებისა, მცირე ჰონორარისა, დღესაც მხარში გვიდგანან ჩვენი სასიქადულო მეცნიერები. დიდი მადლობა ამისათვის მათ. დიდი მადლობა საქართველოს საპატრიარქოს, რომელიც სათავეში ჩაუდგა გაზეთის მიერ წამოწყებულ ვიქტორინას „ვიცნობთ თუ არა ბიბლიას" და 200-მდე გამარჯვებული ბავშვი თავად პატრიარქმა დააჯილდოვა.

როცა დავდექით დილემის წინაშე, გაზეთი სენსაციებით აგვევსო თუ შემეცნებითი დაგვეტოვებინა, ჩვენ უყოყმანოდ ნაცადი გზა ავირჩიეთ და, ვფიქრობ, სწორადაც მოვიქეცით.

**— მარინე, „ნერგის" მიერ გაზრდილ კორესპონდენტებზეც უთხარი ორიოდე სიტყვა მკითხველს.**

— სიამაყით მევსება გული, როცა ჩვენს ხელში გაზრდილ ბავშვებზე ვსაუბრობ. რამდენიმე მათგანმა პროფესიად ჟურნალისტობა აირჩია, ბოლო წლების რომელი ერთი ნორჩკორი ჩამოვთვალო, მირანდა ბაზლაძე თუ თეა ასათიანი, ელისო ჩაფიძე თუ რეზო შატაკიშვილი. ჩვენი აღზრდილები არიან მუსიკოსებიც, მხატვრებიც. მარტო „ნერგის" საერთო შვილობილი, თეირანის უნივერსიტეტის ასპირანტი გიორგი ლობჟანიძე რად გვიღირს, ყოველ ორშაბათს სულმოუთქმელად ველით მის ბარათებს.

**— მარინე, რა არის შენი ყველაზე დიდი სურვილი „ნერგთან" დაკავშირებით და როგორ ხვდებით გაზეთის იუბილეს...**

— დღეს „ნერგი" თვეში ორჯერ გამოდის. ღამე ხშირად მესიზმრება ხოლმე, თითქოს, ძველებურად, კვირაში ორჯერ გამოვდივართ. იქნებ ამიხდინოს ეს ოცნება ღმერთმა. 1999 წლის 2 ოქტომბერს გაზეთს 75 წელი უსრულდება. დიდი სურვილი მაქვს, სახელმწიფომ გამოგვიყოს მეტი თანხა, რომ ავისრულოთ სანუკვარი ოცნება და გაზეთის პერიოდულობა გავზარდოთ.

**— იქნებ იმ დიდ სიყვარულზეც თქვა, ჩვენს კოლექტივში რომ სუფევს.**

— ლინა, 24 წლის მოვედი თქვენთან სამუშაოდ და მას შემდეგ ერთად ვართ სიკეთის,სითბოს, სიყვარულის მეტი არაფერი მახსოვს თქვენგან და ვცდილობ, ამითვე გიპასუხოთ. როგორ გამომდის, არ ვიცი. სიხარულიც და ტკივილიც საერთო გვაქვს. ხომ გახსოვს, როცა ერთ-ერთი ჩვენი მეგობარი სერიოზული პრობლემის წინაშე დადგა, მეორე დღეს ყველანი უძილოები ვიყავით, მისმა ტკივილმა არცერთი არ მოგვასვენა. მადლობელი ვარ ღმერთის, რომ ასეთი კარგი ადამიანები მყავს გვერდით. ჩვენ არა მარტო რედაქციის თანამშრომლები, არამედ მეგობრები ვართ, რომლებიც ერთ საერთო საქმეს დიდი სიყვარულით ვემსახურებით.

**— მარინე, დროა დიდი მადლობა ვუთხრათ შესანიშნავი ჟურნალის „საქართველოს ქალის" რედაქტორს, ქალბატონ ნარგიზა მგელაძეს, რომელმაც საჭიროდ ჩათვალა საბავშვო გაზეთის ტკივილი სამზეოზე გამოეტანა და დაგვითმო ჟურნალის ფურცლები.**

— დამასწარი, ლინა, ამის თქმა მეც მინდოდა და ძალიან ვთხოვ ქალბატონ ნარგიზას (სხვათაშორის, ჩვენი გაზეთის ყოფილ ნორჩკორს) არ შემიმციროს საუბრის ეს ნაწილი, ულრმესი მადლობა თქვენ, ქალბატონო ნარგიზა, რომ საშუალება მოგვეცით წარმოგვეჩინა ჩვენი გაზეთი თავისი ტკივილითა და სიხარულით თქვენი ჟურნალის ფურცლებზე. თქვენი ჟურნალიც დაახლოებით იმავე პრობლემების წინაშე დგას, როგორც ჩვენი. ჩვენი სამშობლოს ეკონომიკურ ძლიერებას მოვსწრებოდეთ ჩვენც და თქვენც. ამით ყველაფერი მოგვარდება, აფხაზეთიც დაგვიბრუნდება და სამაჩაბლოც, ჩვენი გაზეთიცა და თქვენი ჟურნალიც ძველებურად დადგება ქვეყნის სამსახურში.

**ესაუბრა ლინა ბარათაშვილი**

# დედა

**ვუძღვნი ალექსანდრე იოსელიანის და დედამისის ნინო წეროძის ხსოვნას.**

წლების მანძილზე მესმოდა აივანზე გადმომდგარი ქალის ძახილი: — საშუნია, საშუნია! შვილო, საუზმე გაგიცივდა. ექვსიოდე წლის ულამაზესი ბიჭი დედის ძახილზე



ნინო წეროძე შვილთან ერთად

ხელად მიატოვებდა მეგობრებთან თამაშს, კიბეზე მარდად არბოდა და თავისი უფროსი დის — ხათუნას გვერდით მოიკალათებდა.

ქალი, ახალგაზრდა ექიმი ნინიკო წერომე გახლდათ, რომელიც ქმარს დაშორებული იყო, მაგრამ მათ შორის მტრობა არასოდეს ყოფილა.

ნინიკო თავისი ქალ-ვაჟით დედ-მამასთან ცხოვრობდა. ბებია მარიამი არაფერს აკლებდა თავის ქალიშვილს და შვილიშვილებს. ბაბუა ნიკოლოზი სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი იყო და, მინდა მისი პიროვნების დასახასიათებლად ერთი ეპიზოდი გიამბოთ. თურმე გალაკტიონ ტაბიძეს საიუბილეოდ კოსტიუმის შეკერვა დასჭირდა და ფაბრიკას მიაშურა. ბატონ ნიკოლოზს გამოუყვანია თერძი და თავის დროზე მშვენიერი კოსტიუმი ჩაუბარებია პოეტისათვის.

გალაკტიონს ჯიბეზე გაუკრავს ხელი, მაგრამ ნიკოლოზს შეუჩერებია და უთქვამს: — არა, ბატონო გალაკტიონ, ჩვენ თქვენგან ფულს არ ავიღებთ, ეს თქვენი საიუბილეო საჩუქარი იყოსო.

გახარებულ გალაკტიონს სოსო გრიშაშვილი შეხვედრია და ყველაფერი უამბნია.

სოსო გრიშაშვილს უთქვამს: — კაცო, მეც მინდა საიუბილეო კოსტიუმი. გალაკტიონი შემცბარა, მაგრამ რაღა დროს, ნათქვამს ხომ ვერ დაიბრუნებდა? ასე რომ, იოსებ გრიშაშვილიც მისულა ფაბრიკაში, მისთვისაც კარგი კოსტიუმი შეუკერავთ და ფული არც მისთვის გადაუხდევინებიათ, მაგრამ გრიშაშვილს ამის შესახებ კრინტიც არავისთან დაუძრავს. ის კეთილი კაცი არ გავაკოტროთო. აი, ასეთ ოჯახში ცხოვრობდა ნინიკო ბავშვებითურთ.

ბავშვებმა საშუალო დაამთავრეს და ორთავე და-ძმა თეატრალურ ინსტიტუტში ჩაირიცხა, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ხათუნა გათხოვდა. ვისაც უნახავს „სახლი ძველ უბანში“, დარწმუნდება ხათუნა იოსელიანის ნიჭიერებაში. საშა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი გახდა.

დრო მიდიოდა. ბაბუა და ბებია აღარ იყვნენ. საშა ისევ დედასთან ცხოვრობდა. დედას გამორჩეულად უყვარდა საშა და ამაყობდა მისით. ჰქონდა კიდევაც საამაყო. მარჯანიშვილის თეატრის უკვე ცნობილი მსახიობი, ტელევიზიის თანამშრომელი, რომელსაც მოსკოვშიც იწვევდნენ, დედა მეტსაც ელოდა. უნდოდა, რომ მისი შვილი საქვეყნოდ ცნობილი ადამიანი გამხდარიყო. ერთ დღეს, გავიგეთ, რომ საშამ ცოლი ითხოვა. რძალი გახლდათ ანა რატიანი, კონსერვატორიადამთავრებული მევიოლინე, ნიჭიერი და ლამაზი გოგონა.

ნინიკო სიხარულით აღტაცებული იყო, თავისი სამოთახიანი ბინა რძალსა და შვილს დაუთმო და თვითონ ერთოთახიან ბინაში გადავიდა საცხოვრებლად. ხშირად მოდიოდა მათთან, პატრონობდა, ეხმარებოდა ყველაფერში.

ქუჩაში მეზობელმა მახარა, საშას ბავშვი შეეძინაო. ტროლეიბუსში ავედი, ამ დროს ვაგონში საშა შემოვიდა. — საშა, მომილოცავს, გოგოა თუ ბიჭი? შევძახე გახარებულმა. — შუშანა დეიდა როგორ იფიქრეთ, რომ მე პირველი შვილი გოგო მეყოლებოდა. რასაკვირველია, ბიჭია.

ვაგონში ხალხთან ერთად მეც ვიცინოდი და ვეხვეოდი საშას.

ბიჭს გოგონა მოჰყვა, რომელსაც ბებიას სახელი, ნინო დაარქვეს და შეიქმნა ახალგაზრდა, ლამაზი ოჯახი, ისეთი ოჯახი, როგორიც საქართველოს ბევრი სჭირდებოდა. მთელ უბანს უყვარდა საშა თავისი სიკეთით, ინტელიგენტური ბუნებით. მისთვის სულერთი იყო მეზობელი ქურთი იყო თუ ქართველი, ერთნაირ პატივს მიაგებდა ყველას. ეს მშვენიერი ვაჟკაცი იუმორის დიდი ნიჭით დაჯილდოებული, ყველას აცინებდა და ახარებდა. მიუხედავად იმისა, რომ მას, ულამაზეს და ნიჭიერ კაცს, ბევრი რამ ჰქონდა საამაყო, არ იყო ქედმაღალი; უბანში თუ ვინმეს რაიმე გაუჭირდებოდა, საშა პირველი გაჩნდებოდა იქ, თუ ქალს ტვირთი მიჰქონდა, საშა ხელად გამოართმევდა. ოჯახში ბავშვების აღზრდაში არავინ ეხმარებოდათ, ყველანი მუშაობდნენ. საშა და ანა თვითონ ზრდიდნენ შვილებს. ერთი ამბავი გამახსენდა, ახალი წელი მოდის, ქალაქში ფუსფუსია, ბაზარში მივდივარ და ვხედავ, ჩემს წინ საშა და ანა მიდიან. ანას მაგრად უჭირავს პატარა გიორგის ხელი, საშას კი ზურგჩანთაში უმცროსი გოგონა ნინო ჩაუსვამს. ასე შევიდნენ ბაზარში, მე მათ არ გამოვეცნაურე, ხელი არ შევუშალე. იყიდეს სანოვაგე, შესანიშნავად გაატარეს ის ახალი წელი თავის ნაცნობ-მეგობრებთან ერთად. ერთ დღეს, ქუჩაზე მანქანა გაჩერდა, ნინიკო გადმოვიდა და დიდი კალათა გადმოათრია. თუ წინათ ახალგაზრდა ქალი აივნიდან პატარა საშუნიას ეძახდა — დედიკო, საუზმე გაგიცივდაო, დღეს ქუჩიდან ახმახა უკვე დავაჟკაცებულ შვილს. — საშა, შვილო, ჩამოდი ეს კალათა აიტანე. საშამ საყვედურებით აავსო დედა: — დედა, რატომ აკეთებ ამას? ახლაც ბავშვები ხომ არა ვართ. შენ იღლები, წვალობ, რატომ?

— იცი, დედიკო რატომ, მე უთქვენოდ ლუკმას ვერ გადავყლაპავ, როცა დავბერდები მაშინ შენ მომიტანე. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ, ვმუშაობ და მინდა დაგეხმაროთ. უარს ნუ მეტყვი. — საშამ დედას აკოცა და კალათა წაიღო. ნინიკომ მითხრა: — ახლა ჩემი ოქრო შვილიშვილები პატარა ფუმფულა ხელებს მოაფათურებენ კალათაში, რა მოგვიტანა ბებიამო.

ჩემისთანა ბედნიერი ქალი ქვეყანაზე არ არის. შვილები ისეთი მყავს, როგორიც მინდოდა, რძალი ისეთი შემხვდა, რომელიც ოცნებაში მყავდა წარმოდგენილი, შვილიშვილები ანგელოზები, ახლა მე მაგათი კარგად ყოფნის მეტი არაფერი მინდაო.

მე მარტო დავრჩი. გზა განვაგრძე. უეცრად მომესმა: „ჩხაკ“, ყურადღება არ მივაქციე. როცა მეორედ გავიგონე „ჩხაკ“ მოვიხედე და საშამ სურათი გადამიღო, ხელი გადამხვია და ერთად წავედით. ამის შემდეგ დიდი დრო არ გასულა და დაიწყო აფხაზეთის უაზრო ომი, ამ ომში დაიღუპა ჩვენი საუკეთესო ახალგაზრდობა. ჩვენმა უბანმა ამ ომში უმძიმესი მსხვერპლი გაიღო. დაიღუპა საშა იოსელიანიც, ახალგაზრდა, რომელიც უყვარდა მთელ უბანს და მთელ საქართველოს. ძნელი იყო ჩემი მისვლა მის ოჯახში. ანას ქმრის გულზე ედო თავი და ხმას არ იღებდა. მკვდარ-ცოცხალი ნინიკო უაზროდ მისჩერებოდა ერთ წერტილს. მისთვის ერთადერთი ხსნა იყო სიკვდილი. საშა, აფხაზეთში დაღუპულ ძმათა სასაფლაოზე დაასაფლავეს. ერთ დღეს ჩვენს ქუჩაზე მეზობელი ქალი, ერთ შაოსან მანდილოსანს ელაპარაკებოდა. შაოსანი ვერ ვიცანი და მეზობელს ცდა დავუწყე, როდის დაამთავრებდა საუბარს. უეცრად შაოსანი ქალის თვალებიდან ნაპერწკლები გამოკრთა, იგი მე მიცქერდა. — მივხვდი, რომ ვერ მიცანი, — მითხრა მან, — თორემ ასე შემხვდებოდი?! გახსოვს, რომ გეუბნებოდი, ბედნიერი ვარ-მეთქი, აი, ასე დამთავრდა ჩემი ბედნიერება.

— არა, ნინიკო, ასე ნუ ფიქრობ, შენ გყავს ხათუნა, გიორგი, ნინო, ანა.

— არა, ჩემო კარგო, მაგათ ყველას თავისი გზა აქვთ, ხათუნამ იცის, რომ საშას გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. გადავწყვიტე თავის მოკვლა, მაგრამ უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მითხრა: — თუ თავს მოიკლავ, იცოდე, საშას ვეღარასოდეს ნახავო. მეც მჯერა და ველოდები ჩემს რიგს, თუ როდის მომაკითხავს სიკვდილი.

ნინიკოს მართლაც მალე მოაკითხა სიკვდილმა. დედამ ვერ აიტანა შვილის სიკვდილი. ტელევიზორთან ვზივარ, აჩვენებენ აფხაზეთის ფრონტზე დაღუპულთა საფლავებს. საშას საფლავთან ახალგათხრილი სამარე დავინახე. მივხვდი, რომ დედას ნატვრა აუსრულდა. შვილის გვერდით განისვენებს მარადიული ძილით. მართლა ნახავენ თუ არა დედა შვილი ერთმანეთს, ეს ღმერთის მეტმა არავინ იცის.

მივდივარ ჩვენი ქუჩის აღმართზე, ვუახლოვდები აივანს, თვალებს ვხუჭავ, ყურებში კი თითქოს ზარივით რეკავს ახალგაზრდა ქალის ხმა: — საშუნია, ამოდი დედიკო, საუზმე გაგიცივდა!

და ვფიქრობ წუთისოფლის ამაოებაზე...

**შუშანა მგელაძე**

# დოდო ვადაჭკორია-ხიმშიაშვილი — 75

# ვულოცავთ!



ქ-ნი დოდო შვილიშვილებთან

## ჩვენო დაო და იმედო!

ძვირფასო დოდო-დარეჯან,
ჩვენო დაო და იმედო,
ხანდახან ვფიქრობთ, ამქვეყნად
კაცი ვის უნდა მივენდო?..
ვიცით, რამდენმა გაგწირა
და გიმეტებდა საციხედ.
ერთმა იწვნია ასწილად, —
ავმა სულებმა ჩაწიხლეს...
მეუღლე გყავდა უბადლო,
მართლაც და კაიკაცური.
მის სახელს უნდა ვუმადლოთ
რომ ვერ გალაღდა მაცდური;
უფალი ყოვლისმხედველი
და ხალხის საკეთილდღეოდ
შეუძლებელი შესძელი.
დღეს შენს დიდ, ლამაზ ოჯახში —
შვილებში, შვილიშვილებში
დიდედას ეშხით, ალერსით.
ქართული სიტყვა კვლავ ფრთებს შლის.

**გივი ჭიჭინაძე**

## თიგათვისეული

ქალბატონო დოდო! ნუ გაიკვირვებ ასე მომართვას. მართალია, მეგობრები ვართ, მაგრამ დღევანდელი დღე განსაკუთრებულია, დღეს ახლობლებისთვისაც და შორეულისთვისაც ქალბატონი ხარ!

რა დრო გასულა... ნუთუ, სიბერე შემოგვეპარა? არა, შენ შემყურეს ამის გაფიქრების უფლება არა მაქვს!

უბრალოდ მოგვემატა წლები, ასაკით გამდიდრდი, ასეთი ქონება კი ფრიად სავარგულია; — როცა გულუხვად შეგიძლია გასცე რჩევა-დარიგებანი, გულის სითბო, გაყო ლუკმა და შემწეობა ჰყო!

იყო ერთდროულად დედა, ბებია და დიდი დიდედა!

მაგონდება შენი მოთხრობების პირველი კრებული „გაზაფხული, მზე და სიყვარული“. ამ ღვთაებრივი მოვლენების მადლი ტრიალებს შენს შემოქმედებასა თუ ყოფაცხოვრებაში. მართალია, დროდადრო ერთგანაც და მეორეგანაც ქროდა ხოლმე თებერვლის სუსხი და მარტის დღესავით ირეოდა სამართალი, მაგრამ დალოცვილ მზესთან და სიყვარულთან ვერას ხდებოდნენ! შენს სულიერებაში კვლავაც ყელყელაობენ ბავშვობისდროინდელი ყოჩივარდები, ხარისთვალები, იფრქვევა „ფურისულას სურნელი“...

ბრძენს უთქვამს: სიბერე 90 წლიდან იწყებაო!

წინ ამ საპატიო საიუბილეო თარიღისაკენ!

**მარად სიყვარულით ქეთევან ჭილაშვილი**

„საქართველოს ქალის“ რედაქცია სიამოვნებით უერთდება ამ გულითად მილოცვებს და შემოქმედებით დღეგრძელობას, ბედნიერებას უსურვებს ამაგდარ ქალბატონს!

# საყმაწვილო გვერდი—კოკორი

გივი ჭიჭინაძე

## როგორ ასწავლა ჭიანჭველამ სამამდე თვლა ჭიანჭველაჭამიას

შესთხოვს წრიპა ჭიანჭველა
ჭიანჭველაჭამიას:
— მუხლმოყრილი გევედრები
ჯერ ნუ შემჭამ, ძამია!
სხვა დროს ალბათ შენი ნახვა
არც კი შემაშინებდა,
მაგრამ აბა, რა ვქნა, ახლა
პური მიმაქვს შვილებთან...
გთხოვ, ამ გზიდან მომეცალე,
შინ რომ სწრაფად გავვარდე.
ვფიცავ, ვიდრე სამს დაითვლი,
აქ გავჩნდები მანამდე. —
დააკვირდა ჭიანჭველას
ჭიანჭველაჭამია
და რას ხედავს: ამ ნამცეცას
მართლა პური არ მიაქვს?!
პური, მაგრამ რამოდენა?!
დასცქერის და არ სჯერა.
ეს რა მარჯვე ყოფილაო,
დაელოცოს მარჯვენა!
უთხრა: — კარგი შენს პატარებს
მიუტანე საჭმელი,
მე კი, როგორც შემითანხმდი,
არსად წავალ, აქ გელი. —
ჭიანჭველა შეეფარა
ბუჩქებს ფოთოლნამიანს.
— ერთი! — ძლივს-ძლივს ამოღერღა
ჭიანჭველაჭამიამ. —
ერთი კი თქვა, მაგრამ მერე,
მერე რა თქვას, არ იცის,
ერთის შემდეგ მწკრივში რომ დგას
რომელია, რა რიცხვი?
ზის და ისევ გაიძახის:
— ერთი! ერთი! ერთიო! —
ერთი სიტყვით, მიკარნახეთ,
თორემ, ისე ვერ ვთვლიო. —
ის წრიპა კი, დროულად რომ
გამოვარდა ბუდიდან,
კარგახანი იდგა მის წინ
და განაჩენს უცდიდა.
მეტისმეტი სიბრაზისგან
ბოლოს ისე აენთო,
შეუძახა: — არ გრცხვენია,
თავს როგორ ჰყოფ გარეთო?
ამოდენა აყლაყუდამ
თვლა არ იცი სამამდე!
მე მოვედი, ჩემს ვაჟკაცურ
სიტყვას არ ვუღალატე,
შენ კი, თითქოს არაფერი,
ჭიანჭველაჭამიავ,
უსაქმურად მაყურყუტებ
აგერ სამი წამია!
დაითვალე სამამდე და
მორჩი საქმეს საგმიროს
ხედავ, უკვე მზე რომ ჩადის,
ნიავმა არ დაგგრილოს!
— უჰ, რას ამბობ! — ძირს დაემხო
ჭიანჭველაჭამია, —
— ვიდრე მართლა გადაგყლაპავ,
ჭიანჭველავ, ძამიავ,
სამამდე თვლა შემასწავლე,
გეხვეწები ძალიან,
თორემ მერე ვინ მომხედავს,
ჩემთვის ვისა სცალია! —
ჭიანჭველამ უთხრა: — გატყობ,
მთლად სულელი რომ არ ხარ...
და, თუ გინდა, თვლა გასწავლო,
ყური კარგად მომაპყარ.
„ერთი“ იცი, მაგრამ მაინც,
რომ არ გადამავიწყდეს,
დაიხსომე ჩემი სიტყვა,
როცა დათვლას დაიწყებ,
გაიხსენე ხოლმე სწრაფად
ერთი რა გაქვს კისერზე.
მიპასუხე, რას აცმუკდი,
აქეთ-იქით ვის ეძებ?
ჩემო ძმაო, გატყობ პასუხს
ნაჩვევი ხარ კარნახით...
კისერზე გაქვს ერთი თავი,
ერთ გროშად რომ არა ღირს! —
ჭიანჭველაჭამია ხტის,
თან ხმამაღლა ქაქანებს:
— ერთი თავი რომ მქონია,
არ ვიცოდი აქამდე! —
ჭიანჭველა კვლავ არიგებს
თავის შეგირდს გოლიათს:
— ესეც კარგად დაიხსომე,
ერთის შემდეგ ორია.
აბა, ახლა უკარნახოდ
თუ მიხვდები? — აქეზებს —
ორი რა გაქვს მაგ გოგრაზე,
უფრო სწორედ, სახეზე?
— ორი რა მაქვს? — ღრმად ჩაფიქრდა
ჭიანჭველაჭამია, —
ცხვირი? არა! პირი? არა!
ორი თვალი, ძამიავ!
— კიდევ? კიდევ? ჭიანჭველა
არ ეშვება ადვილად.
— ორი ყური!
— ყოჩაღ, ყოჩაღ!
დაჭკვიანდი ნამდვილად! —
მერე უთხრა: — ამ მცენარეს
დააკვირდი, ძამიავ.
შენ ორი გაქვს ყური, არა?
სამყურას კი სამი აქვს.
— ვაშა! — უცებ ტაში დასცხო
ჭიანჭველაჭამიამ, —
ეგ არის და სამამდე თვლა
უკვე შემისწავლია!
— ერთი! ორი! — მიაბიჯებს, —
ერთი! ორი! სამიო!
მჯერა, მალე მეც გავხდები
ნაღდი ხუთოსანიო! —
უკან წრიპა აედევნა
და გზადაგზა წრიპინებს:
— სად მიდიხარ, გოლიათო,
შეჭმას აღარ მიპირებ? —
მზის ჩასვლისას მწვანე მოლზე
ცვარ-ნამს გააქვს ციმციმი,
ჭიანჭველაჭამია შინ
მიხტის სიცილ-სიცილით
და პასუხობს ჭიანჭველას:
— ეგ მე აღარ შემფერის.
აბა, როგორ გავიმეტო
გამრჯე კაცი შენფერი,
თანაც ჩემი მეგობარი,
ჩემი მასწავლებელი.

## რა ახარებთ პინგვინებს?

არსად აღარ ჩანს მაცნედ
და არც მოლი ბიბინებს.
თოვლის ქალებს, თოვლის კაცებს,
რა ახარებთ პინგვინებს?!
ცხრათვალა მზე იღიმება,
ნიავქარი ღიღინებს.
გაზაფხული პინგვინებმა
მიულოცეს პინგვინებს.
ყინულეთის მოედანზე
ისრიალეს, ირბინეს.
ვის წაართვეს ოქროს თასი
პინგვინებმა? პინგვინებს!..
მერე, როცა ლხინის შემდეგ
შუშხუნებმა იგრგვინეს,
საცეკვაოდ ვის იწვევდნენ.
პინგვინები? პინგვინებს!
ერთად უყვართ ცურვა, ცეკვა,
სიხარულიც ერთი აქვთ.
მათ ჰგონიათ, რომ ამქვეყნად
მხოლოდ პინგვინეთია.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვაგრძობთ მასალების ბეჭდვას ჟორდანიას სახ. ინსტიტუტისა და პროგრამა „რეპროდუქტოლოგიის განვითარება საქართველოში“ დახმარებით

# საკვერცხის კისტა — ოპერაცია გარდაუვალია?!

ტერმინი საკვერცხის კისტა მოსახლეობაში თითქოსდა საკმაოდ ცნობილია და შიშის მომგვრელიც. მისი პოპულარობა დაკავშირებულია ამ პათოლოგიის სიხშირესთან, ხოლო შიში, — მასზე არასაკმარისი ინფორმაციით გამოწვეულ გაურკვევლობასთან.

სინამდვილეში სამედიცინო ენაზე ეს არის ქალებში გავრცელებული პათოლოგია, ცნობილი საკვერცხის კეთილთვისებიანი სიმსივნის სახელწოდებით. საკვერცხის სიმსივნეების 67-90% კეთილთვისებიანია, მაგრამ ამ უკანასკნელთა დროულ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

საკვერცხის კეთილთვისებიანი წარმონაქმნები განსხვავდება მიკროსკოპული მახასიათებლებისა და უჯრედული შენების მიხედვით, სწორედ ამას ეფუძნება მათი ძირითადი კლასიფიკაცია. ექიმების სამუშაო კლასიფიკაცია ზოგჯერ სიტყვა-სიტყვით არ იმეორებს არსებულ სტანდარტულ ჯგუფებს. აი, აქედან მოდის მოსახლეობაში გავრცელებული ტერმინები — საკვერცხის კისტა, დერმოიდული კისტა, შოკოლადისებური კისტა. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოსახლეობაში ხშირად გავრცელებულ ერთ სიტყვას „კისტა“, მედიცინაში სხვადასხვა დატვირთვა აქვს და შესაბამისად, სხვადასხვა მკურნალობა და პროგნოზიც. ასევე ხშირად, არამართებულია კისტის პროგნოზული სერიოზულობით დაკავშირება მის სიდიდესთან — ზოგჯერ საკმაოდ დიდი ზომის კისტა თავისი უჯრედული შენებით, კლინიკითა და სხვა მახასიათებლებით უფრო ნაკლებ საშიშია, ვიდრე მასზე გაცილებით მცირე ზომის წარმონაქმნი.

საკვერცხეების სიმსივნეების წარმოქმნის მექანიზმი, უმეტეს შემთხვევაში, დაკავშირებულია საკვერცხის ფუნქციის პირველად დარღვევასთან და, შესაბამისად, ცენტრალურ დისჰორმონალურ მდგომარეობასთან. საკვერცხის ესტროგენული ფუნქციის დარღვევა შეიძლება დაკავშირებული იყოს საშვილოსნოს დანამატის ანთებით პროცესებთან, ინფექციურ დაავადებებთან, არასრულფასოვან კვებასთან და სხვა მავნე ფაქტორებთან. საკვერცხის კეთილთვისებიან წარმონაქმნებს, მიუხედავად უჯრედული მრავალფეროვნებისა, კლინიკურად ბევრი რამ აქვს საერთო. საწყისი სტადია, როგორც წესი, უსიმპტომოდ მიმდინარეობს. ყველაზე ხშირი სიმპტომია ტკივილი მუცლის ქვემო არეში, რომელსაც ზოგჯერ ემატება ტკივილი წელის არეში, საზარდულში. ტკივილი უმეტესად ყრუ ხასიათისაა. მწვავე ტკივილი არის მხოლოდ კისტის ფეხის შემოგრეხისას ან მისი კაფსულის გასკდომის შემთხვევაში. ტკივილი, როგორც წესი, არ არის დაკავშირებული მენსტრუაციასთან. ასევე ხშირი სიმპტომია მენსტრუალური ციკლის დარღვევა. სიმსივნის სიდიდესთან დაკავშირებით სიმპტომებს შეიძლება დაემატოს სიმძიმის შეგრძნება მუცლის არეში და მუცლის შებერილობა.

ის მცირე ინფორმაცია, საკვერცხის კეთილთვისებიან წარმონაქმნზე, რაც ზემოთ მოგაწოდეთ, ლოგიკურად ბადებს ზოგიერთ აუცილებლობას მათი პროფილაქტიკისათვის. ყველა ქალი ვალდებულია ჩაიტაროს პროფილაქტიკური გამოკვლევა გინეკოლოგთან წელიწადში ორჯერ მაინც. უნდა გვახსოვდეს, რომ კისტების სიმპტომები საწყის სტადიაში ფაქტიურად შეუმჩნეველია, ხოლო მკურნალობა — მეტად ეფექტური. დაავადებისათვის დამახასიათებელი სიმპტომების გაჩენისთანავე ექიმთან მისვლა აიოლებს მკურნალობას, ხოლო კეთილთვისებიანი წარმონაქმნის დროული თერაპია სხვა უფრო უსიამოვნო პროცესების პროფილაქტიკის საწინდარია.

კეთილთვისებიანი წარმონაქმნების მკურნალობა ძირითადად ქირურგიულია. ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელ პერიოდამდე ასე იყო ცნობილი, მაგრამ ზოგიერთი სახის კეთილთვისებიანი წარმონაქმნის, კერძოდ კი, მისი ფართოდ გავრცელებული ფოლიკულური, კისტების შემთხვევაში, არ არის აუცილებელი გადაუდებელი ოპერაციის დაგეგმვა. ამ დროს გასათვალისწინებელია პაციენტის ასაკი, სომატური ჯანმრთელობა, რეპროდუქციული სტატუსი, თვით კისტის „ასაკი“, სიდიდე, კაფსულის სისქე, მითუმეტეს, რომ დღევანდელი მედიცინა იძლევა ასეთი სახის კისტების მკურნალობის საშუალებას — არსებობს დახვეწილი სამედიცინო აპარატურა, ჰორმონალური კვლევის თანამედროვე მეთოდები, სამკურნალო საშუალებები. წარმონაქმნის მექანიზმიდან გამომდინარე, შესაძლებელია კონსერვატული თერაპია მედიკამენტებით. არსებობს ასეთი მკურნალობის მდიდარი გამოცდილება და საკმაოდ კარგი შედეგებით. განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ სხვადასხვა შემადგენლობის სტეროიდული პრეპარატები — პროგესტინები იძლევა მათი ინდივიდუალური შერჩევის საშუალებას პაციენტის გამოკვლევის შედეგების გათვალისწინებით.

სადიაგნოსტიკო და ქირურგიული აპარატურის დახვეწასთან დაკავშირებით, არც ოპერაციული მკურნალობა წარმოადგენს დიდ პრობლემას. დღეს ენდოსკოპიური ქირურგია (ანუ ქირურგია მუცლის ღრუს გაუხსნელად) მოსახლეობისათვის უკვე ცნობილია. მისი საშუალებით საკმაოდ რთული ოპერაციები სრულდება, მათ შორის საკვერცხის სიმსივნურ წარმონაქმნებზეც, მაგრამ ამით მათი მკურნალობა არ მთავრდება — უნდა ვუმკურნალოთ მიზეზს, რომ არ მივიღოთ ახალი შედეგი.

**მაკა ბებეშკორი,**
**ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექიმი-რეპროდუქტოლოგი.**

# როგორ მოგვნატრებია ერთმანეთი

დღეს, როცა ქუჩაში გულგრილად ვერ ჩაუვლი სამათხოვროდ ხელგაწვდილ შავოსან მოხუცებულს, როცა გული გეწურება მიწისქვეშა გასასვლელში „დარი-დურის“ მომღერალი პატარა გოგო-ბიჭების დანახვისას, ცოტა უხერხულადაც გვეჩვენება რაიმე საზეიმოსა და საიუბილეოზე საუბარი:

მაგრამ პოეტის თქმისა არ იყოს, იგი „გსურს თუ არა, მოვა თავისთავადა“.

ბევრს აღარ გავაგრძელებ და მოკლედ გეტყვით — ჩვენი ქალების უსაყვარლეს ჟურნალს „საქართველოს ქალს“ 75 წელი შეუსრულდა. მთელს რესპუბლიკაში აღიარებული ჩვენი ჟურნალი გასაგებ მიზეზთა გამო, საკმაოდ მოკრძალებულად შეხვდა ამ თარიღს. ზედმეტი ხმაურისა და აურზაურის გარეშე საიუბილეო ნომერი მოვამზადეთ, პრეზიდენტის მოსალოცი ბარათით გავიხარეთ და მომავალს იმედის თვალით შევხედეთ. მაგრამ ერთი სიურპრიზი კიდევ გველოდა — შუაგული ქართლიდან, კერძოდ კი ქარელიდან ადგილობრივი საზოგადოების მოწვევა მივიღეთ. ისინი „საქართველოს ქალის“ შემოქმედებით კოლექტივთან და რესპუბლიკის ქალთა საბჭოსთან ითხოვდნენ შეხვედრას და ჟურნალის იუბილის ერთობლივად აღნიშვნას.

ძალიან გავიხარეთ, კიდევ ყოფილა საქართველოში ხალხი, რომელთათვისაც სულაც არ ყოფილა სულერთი, იარსებებს თუ არა კვლავ ჟურნალი „საქართველოს ქალი“, იხილავს თუ არა კიდევ მის ახალ ნომრებს, თუნდაც შემცირებული, მოკრძალებული ტირაჟით. ერთგული მკითხველი ოთხი საათის განმავლობაში, სულისშემხუთველი სიცხის მიუხედავად, მოთმინებით ელოდა თბილისიდან ობიექტურ მიზეზთა გამო დაგვიანებულ ჩვენს მიკროავტობუსს, რათა თავისი სიყვარული გაეზიარებინა ჩვენთვის, გავემხნევებინეთ და, თუნდაც მცირე მატერიალური დახმარება აღმოეჩინა, რათა რესპუბლიკაში ქალთა საყვარელი ჟურნალისათვის ეს საიუბილეო თარიღი უკანასკნელი არ ყოფილიყო.

ულრმესი მადლობა ყველა ქარელელსა და გორელს (მათი წარმომადგენლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ შეხვედრაში), პირველ რიგში კი პრეზიდენტის რწმუნებულს შიდა ქართლში ბატონ ირაკლი ბოჭორიძეს, ქარელის რაიონის გამგებელს ბატონ თეიმურაზ სანდოძეს, პარლამენტარ თამაზ თხელიძეს, გამგებლის მოადგილეს ქალბატონ თინა გაგნიძეს, რწმუნებულის მრჩეველს ქალბატონ ლეილა კიკნაძესა და ქარელისა და გორის ქალთა საბჭოებისა და საზოგადოების წარმომადგენლებს, რომელთაც ასე გაითავისეს ჩვენი პრობლემები, და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს საერო საქმისადმი ერთგულება და სიყვარული.

მადლობა რესპუბლიკის ქალთა საბჭოსა და მის მესვეურთ — ქალბატონებს ნინო ჯავახიშვილსა და ზინაიდა ბე[illegible]ჭაძეს, ქალთა საბჭოს ყველა იმ წევრს, რომლებიც მორალურ თანადგომას არ გვაკლებენ.

და, რა ბედნიერებაა, როცა ამ ქვეყნად არსებობენ ასეთი საზოგადო მოღვაწეები, თურმე, როგორ დაგვძვირებია თბილი შეხვედრები, როგორ მოგვნატრებია ერთმანეთი...

**მანანა იმესაშვილი**

# ხანდაზმულობის სიკეთე



ადამიანის წასვლა ამ ქვეყნიდან ყოველთვის დასანანია. შეიძლება დაიმშვიდო თავი, რომ გახლეჩის შემდეგ ჩვენი ატომები ოდესმე უფრო სრულყოფილ სტრუქტურებად შეერთდებიან. მაგრამ ის კი უტყუარია, რომ გარეგნობა, ფსიქიკა და ინტელექტი სიკვდილის შემდეგ ქრება. სწორედ ამიტომაა მიზანშეწონილი სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის ბრძოლა.

ადამიანის დაბერება ერთიანი პროცესი არაა. სხვადასხვა ორგანო სხვადასხვა დროს ბერდება. შეიძლება გული გაიცვითოს, ინტელექტი ბრწყინვალე დარჩეს ან პირიქით, ხშეული ჯანმრთელი იყოს, ფსიქიკა — მთლიანად მოშლილი.

ეგოისტები არიან ისინი, რომლებიც ამბობენ: გვირჩევნია ცოტა ხანს ვიცხოვროთ, მაგრამ ჩვენს ნებაზე. მათ საზოგადოებისათვის როდი მოაქვთ სარგებლობა. ისინი მხოლოდ თავიანთთვის ცხოვრობენ. ამიტომ მათი სიცოცხლის გახანგრძლივება სხვას არაფერს შემატებს.

ადამიანს, მის ყოველ ორგანოს, განსაკუთრებით კი ტვინს, მუდმივი ვარჯიში და დატვირთვა სჭირდება. ამის გარეშე იგი განწირულია ადრეული სიბერისათვის.

დიდი პოეტები ცოტა ხანს ცოცხლობენ, დიდი ფილოსოფოსები კი — ხანგრძლივად. ეს იმიტომ, რომ პოეტებში ემოციურობა სჭარბობს, ფილოსოფოსებში — გონიერება. ემოციები ადამიანს კრიტიკულ სიტუაციებში აგდებს, გონიერება — ამ სიტუაციებს აცილებს.

რატომღაც თვლიან, რომ პროგრესისათვის თაობათა სწრაფი ცვლაა საჭირო: მოხუცს ახალი იდეები ნაკლებად აქვსო და იმიტომ. მაგრამ ავიწყდებათ, რომ მოხუცები ტრადიციების დამცველნი არიან; ყოველი ახალი იდეა კი ამ ტრადიციებზე უნდა იყოს დაფუძნებული.

ქვეყანა კონსერვატორთა, ე. ი. მოხუცთა გარეშე წარმოუდგენელია. როგორც წესი, ბაბუა უფრო უგებს ბავშვს, ვიდრე მამა.

თანამედროვე პირობებში მედიცინის წყალობით, ადამიანს შეუძლია 90 წლამდე შრომისუნარიანიც იყოს და ქვეყანასაც გამოადგეს.

**ვლ. შაბანინი,**

გერონტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**იუბილარი**

# ამაგდარი

**ჩვენს საყვარელ საჯარო ბიბლიოთეკას ორიოდე წლის წინ 150 წელი შეუსრულდა. ამის შესახებ გვესაუბრება ქალბატონი ლეილა ზამბახიძე, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში.**

**45 წელია, რაც ქალბატონი ლეილა აქ მუშაობს. გახლავთ ოცამდე ბიბლიოგრაფიული საძიებლის რედაქტორი. შედგენილი და გამოცემული აქვს ზაქარია ფალიაშვილის ანოტირებული ბიბლიოთეკა. შესანიშნავად თარგმნის რუსულიდან და გერმანულიდან. არჩეულია სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოს წევრად. არის კულტურის წარჩინებული მუშაკი და რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი. ჰყავს ქალ-ვაჟი და ორი შვილიშვილი.**



ლეილა ზამბახიძე მკითხველებთან

**— ცოტა რამ ეროვნული ბიბლიოთეკის საწყისებზე, რამდენი წიგნია აქ და რომელია მათგან ყველაზე „უხუცესი“?**

— იგი დაარსდა 1846 წელს და საფუძვლად დაედო მეფისნაცვლის კანცელარიის 6.200 ბეჭდური ერთეულისაგან შემდგარი ბიბლიოთეკა. გარდა ამისა, ახლადდაარსებულ თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას 1848 წელს გადაეცა მე-19 საუკუნის ქართველი საზოგადო მოღვაწეების: დიმიტრი ყიფიანის, ზაქარია ერისთავის, ვახტანგ და გრიგოლ ორბელიანების, ნიკოლოზ ბარათაშვილის, მიხეილ თუმანიშვილის და სხვათა თაოსნობით 1840-იანი წლების დასაწყისში თბილისში დაარსებული პირველი კერძო ბიბლიოთეკის 510 ტომისაგან შემდგარი წიგნადი ფონდი. ამჟამად ჩვენთან 4 მილიონამდე წიგნია;

**— უნიკალურ წიგნებს ხომ ვერ დაგვისახელებდით?**

— ეროვნულ ბიბლიოთეკაში მრავალი საუცხოო წიგნია დაუნჯებული, მათგან გამოირჩევა უძველესი გამოცემები: იტალიურ ენაზე 1506 წელს ფლორენციაში დაბეჭდილი სენეკას ტრაგედიები, საბერძნეთისა და რომის ისტორიის მასალები (პარიზი, 1540 წ., ლათინურიდან ფრანგულ ენაზე თარგმნილი), ოვიდიუსის შემოქმედება

**იყავით ჯანმრთელი!**

# ნევრო

არსებობს ძველი ჩინური წყევლა: პოლიტიკური კატაკლიზმების დროს გეცხოვროსო. ვინ იცის, ვისმა წყევლამ გვიწია, მაგრამ ერთი რამ კი უდავოა, ბობოქარ დროში ვცხოვრობთ. ჩვენი სული და ორგანიზმი მუდმივად განიცდის არსებული სოციალური გარემოს ზემოქმედებას, რაც გარკვეულ ასახვას პოულობს ჩვენსავე ფსიქიკაში. ყოველდღიური ნერვულ-ფსიქიკური დაძაბვა, სხვადასხვა სახის კონფლიქტები, ომი, ნგრევა, უსამართლობა, ახლობლის დაკარგვა, ამაგის დაუფასებლობა, ცოლის ან ქმრის ღალატი და მრავალი სხვა ფაქტორი გავლენას ახდენენ, უპირველეს ყოვლისა, ნერვულ სისტემაზე. აღნიშნული ფაქტორების ზემოქმედებას განსაკუთრებით მძაფრად განიცდიან ლაბილური (სუსტი) ნერვული სისტემის მქონე ადამიანები, რომლებიც ხშირად ავადდებიან ნევროზით. სამწუხარო სტატისტიკის თანახმად, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ნევროზის სხვადასხვა ფორმით არის დაავადებული.

თანამედროვე განმარტებით ნევროზი წარმოადგენს ფსიქოგენური ხასიათის ნერვულ-ფსიქიკურ მოშლილობას, რომელიც სპეციფიკური ემოციურ-აფექტური კლინიკური ფენომენებით ვლინდება.

ნევროზის რისკ-ფაქტორებს მიეკუთვნება: ფიზიკური გადაღლა, სომატური დაავადებები, ტრავმები, უსიამოვნებები ოჯახში, პროფესიული დაუკმაყოფილებლობა, ალკოჰოლის გადაჭარბებით მიღება, საძილე საშუალებების უკონტროლო გამოყენება და სხვა.

არჩევენ ნევროზის სხვადასხვა ფორმას.

ნევრასთენია — ახასიათებს ნერვული გამოფიტვა, ადვილად აღგზნება, სწრაფი დაღლა, უმნიშვნელო გაღიზიანებაზე არაადეკვატური რეაქცია. აღნიშნული მოშლილობა, უპირველესად, ეხება ემოციურ სფეროს. გაღიზიანებას იწვევს მკვეთრი სინათლე, ხმამაღალი საუბარი, რადიოს ხმა და ა. შ. რაც ხშირად იწვევს კონ-

ძველ გერმანულ ენაზე (ფრანკფურტი, 1563 წ.), იტალიურ-ქართული ლექსიკონი (რომი, 1629 წ.); სახარება (თბილისი, 1709 წ; — პირველი ქართული სტამბის პირველი გამოცემა); სახელმძღვანელო ნაოსნობის შესახებ (მოსკოვი, 1708 წ.), რომელიც პეტრე I-ის ბრძანებით ფრანგულიდან რუსულადაა თარგმნილი და ა. შ.

**— ბიბლიოთეკაში არსებული წიგნებიდან ხმარებაში ალბათ ყველა არაა; რატომ?**

— ასეთი წიგნები ალბათ ძალიან ცოტაა. შესაძლოა ზოგიერთ მათგანს (რომელთაც უსამართლოდ მივიწყებულ წიგნებს ვუწოდებთ), აკლია რეკლამა. ადრე ჩვენ პერიოდულად ამგვარი წიგნების გამოფენასაც კი ვაწყობდით და მკითხველს ვახსენებდით მათ არსებობას. მეორე მხრივ, ბევრმა მათგანმა დაკარგა აქტუალობა და მკითხველთა ინტერესების სფერო უპირატესად შემოიფარგლა ეკონომიკით, ისტორიით, იურისპრუდენციით, ბიზნესით.

**— ხომ არ გაქვთ სტატისტიკური მონაცემები იმის თაობაზე, თუ როდის გყავდათ ყველაზე მეტი და ყველაზე ნაკლები მკითხველი?**

— ყველაზე მეტი მკითხველი 1996 წელს გვყავდა (597.000-მდე), ყველაზე ნაკლები კი — 1990 წელს (470.000-მდე). ეს ბუნებრივიცაა, მაშინ ცნობილი მიზეზების გამო მთელი ხალხი ქუჩაში იყო გამოსული და წიგნისათვის ნაკლებად ეცალა.

**— რომელი ასაკის მკითხველია უფრო მეტი?**

— დაახლოებით 19-26 წლის ასაკისა.

**— გარდა თბილისელებისა, გყავთ თუ არა მკითხველი საქართველოს სხვა ქალაქებიდან?**

— ძალიან ბევრი. პერიფერიებიდან ბიბლიოთეკაში ჩამოსულ მკითხველებს აქ, ადგილზეც ვემსახურებით და საჭირო ლიტერატურას იქაური ადგილობრივი ცენტრალური ბიბლიოთეკის დაკვეთით ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის საშუალებით 1 თვის ვადით ვუგზავნით.

გვყავს უცხოელი მკითხველიც. ჩვენი წიგნებით სარგებლობდნენ ამერიკელი სტივენ ჯონსი (ქართველოლოგი), ინგლისელი იანგი დევიდ ლონგი (ქართველოლოგი, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი), გერმანელი ჰანს ფეინრახი (ქართველოლოგი, იენის უნივერსიტეტის პროფესორი), ფრანგი უტიე ბერნარი (ქართველოლოგი), იტალიელი ლუიჯი მაგარეტო (ქართველოლოგი, ვენეციის უნივერსიტეტის პროფესორი) და კიდევ მრავალი.

**— თქვენ, სრულიად ახალგაზრდამ შემოაღეთ ეროვნული ბიბლიოთეკის კარი. გეგონათ, რომ მის კედლებში 45 წელს გაატარებდით?**

— ნამდვილად არ მეგონა, მაგრამ მე ბედნიერება მხვდა წილად, მემუშავა თამარ მაჭავარიანის, მერი მელაძის, მარიამ კუპრაძის, ნიკოლოზ ეკერმანის, ლევან ეგორაშვილის გვერდით. ეს ჩემთვის დიდი სკოლაც იყო და ასევე დიდი პატივიც. მათ შემაყვარეს ბიბლიოგრაფია და საერთოდ ბიბლიოთეკა.

**— დაბოლოს, კითხვა პირადად თქვენ: თუ ხართ ბედნიერი?**

— ქალისთვის მთავარი ოჯახური ბედნიერებაა. ისე კი, როცა საყვარელ საქმეს ემსახურები, გარემოსილი ხარ მოყვარული, ერთგული ადამიანებით და თუ ცოტა დაფასებულიცაა შენი საზოგადოებრივი საქმიანობა — ალბათ, ეს უკვე ბედნიერებაა.

ესაუბრა **მარლენ აბაზაშვილი**

# ხები

ფლიქტებს ადამიანებთან ურთიერთობაში.

ავადმყოფი უჩივის თავის ტკივილებს და სიმძიმის შეგრძნებას. მრავალი სიმპტომი ადასტურებს ვეგეტატიური ნერვული სისტემის დისფუნქციას: ავადმყოფს ახასიათებს ოფლიანობა, ტაქიკარდია, უმადობა, მუცლის შებერილობა, შეკრულობა, გახშირებული შარდვა, უძილობა.

ნევრასთენია განსაკუთრებით ხშირია დღეს.

ნევროზების რთულ ფორმებს მიეკუთვნება — ისტერია, აკვიატებული მდგომარეობის ნევროზი, მამოძრავებელი ნევროზები.

თუ გენიშნათ ჩამოთვლილი სიმპტომები, ნუ აღელდებით და ნუ დაასკვნით, რომ ნევროზით ხართ დაავადებული. არსებობს ნევროზისმაგვარი მდგომარეობა — ე. წ. ნევროზის სინდრომი. მას მიეკუთვნება გარდამავალი, ძირითადად ნევრასთენული მოშლილობა, რომელიც გამოწვეულია ზოგადსომატური დაავადებებით, ინფექციებით, ინტოქსიკაციებით და ტრავმებით. ნერვულ-ფსიქიკური ვეგეტატური მოშლილობანი ამ შემთხვევაში ნაკლებია და დამოკიდებულია ძირითად დაავადებაზე.

ნევროზებისაგან განკურნება, უპირველესად, ისევ და ისევ პიროვნებაზეა დამოკიდებული. ექიმის კონსულტაციამდე საჭიროა შთააგონოთ საკუთარ თავს, რომ თქვენ აბსოლუტურად ჯანმრთელი ბრძანდებით. ხშირად დაისვენეთ, მოცილდით იმ გარემოს, რომელიც წარმოადგენს დაავადების მაპროვოცირებელ ფაქტორს, შეწყვიტეთ ფსიქოტროპული პრეპარატების უკონტროლო მიღება. კარგია მსუბუქი ვარჯიში, კონტრასტული შხაპი, ასევე სანატორიულ-კურორტული მკურნალობა, რაც დღეს ბევრი ჩვენგანისათვის, სამწუხაროდ, ოცნებად იქცა.

ჩვენშივე ვეძიოთ ძალა. ნემსს აქლემად ნუ გადავაქცევთ. ნერვიულობით საქმე არ გამოსწორდება, პირიქით უფრო დამძიმდება. გავალამაზოთ ჩვენი ცხოვრება. ვეცადოთ მაინც!

**ია რუხაძე,**
**ექიმი ნევრო-პათოლოგი.**

## შეეწიე სიბერესა მამასა შენსა!

# გვიანი მონანიება

მოხუცი კაცი მარტო დარჩა. ცოლის გარდაცვალების შემდეგ შვილებმაც მიატოვეს, თუმცა, არც მანამდე ანებივრებდნენ ყურადღებით.

ამ ბოლო დროს აღარც ურეკავენ, თანაგრძნობის სიტყვაც კი გაუმჟვირეს, რადგან სიკეთისაგან დაცარიელებულ გულში უკვე ველარაფერს პოულობენ მოხუცი მამის სანუგეშებლად. უიმედოდ დარჩენილი, ხვალინდელი დღით შეაშინეს... მონაგარის მონატრებას დაატანჯვინეს მისი დამფრთხალი სული. შვილის მონატრება მშობლისათვის ხომ თავისთავად დარდი და წუხილია, ხოლო მოხუცებულთა სათუთი ფსიქიკისათვის — ტანჯვაა.

ჯერ იყო და, სამდურავსა და ჩივილს უმატა. მერე აღარ ახსოვს, თავად მიხვდა თუ მიახვედრეს, რომ ტკბილი მოხუცებულობა, რომლის პრეტენზიასაც ასე თამამად უცხადებდა ყველას, სხვა არაფერია, თუ არა ჯილდო გონივრულად განვლილი ცხოვრებისათვის.

მას ეს ჯილდო არ არგუნა ღმერთმა, არც დაუმსახურებია... მაინც როდის შეეშალა? როდიდან გამოეცალა ამ დარდით დაბზარულ კედლებს მთავარი საყრდენი — სიყვარული.

ნუთუ მაშინ, როცა ოჯახის მატებით გახარებულ მშობლებს შესთავაზა — „ახლა კი დაისვენეთო“ და „ტკბილი მოხუცებულობის“ გასატარებლად ერთოთახიანი ბინა მიუჩინა ქალაქის გარეუბანში. მერე ის ბინაც გაახსენდა და შვილს მონატრებული მშობლების მზერაც დაუდგა თვალწინ.

სინდისი ეტკინა... და იმ ერთ წამში ამ ტკივილით მთელი ცხოვრება განიცადა. საოცარი სიცხადით შეიგრძნო „ცუდი შვილის“ გვიანი მონანიების სიმწარე.

„ვინც მშობლებს ცუდად ექცევა, ცუდ შვილებსაც მოესწრებაო“, — მამის ეს შეგონება მაშინ არად ჩააგდო. უგულო კაცის ცხოვრებით იცხოვრა, „უგულო კაცი კი ვერ კაცობსო“, — ნათქვამია და ახლა ნაკაცარმა თვითგვემით სცადა ზნეობრივი დანაშაულის გამოსყიდვა...

წუთით შეყოყმანდა... თავი შეეცოდა, თუმცა სიბრალულის ღირსი არ იყო. ისევ მამის სიტყვები გაახსენდა: „მე მებრალებიან ის ადამიანები, რომელთაც არ ძალუძთ ჩაწვდნენ თავიანთი ადამიანობის მუღამს (ამა სოფლად კაცის — შვილის მთავარ დანიშნულებას) — მფარველად და მწედ ექმნენ მოყვასს. ისინი ისე მიდიან ამ სოფლიდან, ვერც კი ხვდებიან, თუ რა დიდი მადლია ადამიანობა და რა პატარა, რა უმნიშვნელოა ყოველდღიური წვრილმანი ანგარიშები, ინტრიგები, კონფლიქტებიც კი“. აი, ახლა კი ხვდება, რომ საკმარისია, ერთხელვე ათვალისწუნებით შეხედო წვრილმან მოვლენებს, რომ საკუთარი ძალა იგრძნო.

მაშინ ეს ძალა არ აღმოაჩნდა... კარიერას, საკუთარ თუ ოჯახურ პრობლემებს გადააყოლა კაცობა.

სწორი ყოფილა, როცა ამბობენ: — მატერიალური კრიზისის დაძლევა გაცილებით უფრო იოლია, ვიდრე ზნეობრივისო. „ჰომო ფაბერად“ ქცეულმა „წარმატებული ოჯახის“ მამამ, ჯერ იყო და, გულის კარი დაუკეტა მშობლებს... მათთან ურთიერთობა დაიყვანა პატივისცემის გამომხატველ რიტუალურ სიტყვებსა და ჟესტებზე... მერე კი, ამისთვისაც ველარ მოიცალა. ცოლ-შვილიც თავისკენ ეწეოდა. ეგონა, ცოლის პატივისცემასა და შვილების სიყვარულს ამგვარი „დათმობით“ უფრო მოიპოვებდა.

რა იცოდა, რომ მისი პატარების იმდროინდელი სიყვარული მისდამი ელემენტარულ ბიოლოგიურ გრძნობაზე იყო დაფუძნებული.

ხოლო, როცა ეგოიზმის გადალახვით მიისწრაფი მზარში ამოუდგე მშობლებს სიძაბუნეში, მაშინ, როცა ამ მზრუნველობას შენთვის არავითარი პრაქტიკული სიკეთე არ მოაქვს (როგორც წესი, ქართველ მშობელს გასაცემი მანამდე აქვს გაცემული) აქ უკვე ლაპარაკია „ნაწრთობი სულის“ ძახილზე — „შვილო, შეეწიე სიბერესა მამასა შენსა და ნუ აჭირვებ მას ცხოვრებასა შინა“.

აკი კარგად იცოდა, რომ წინაპრებისა და მშობლების პატივისცემა ერთ-ერთი უმთავრესი სათნოება გახლდათ ყველა ხალხისა და ყველა რელიგიაში. — „მშობლების სიყვარული ყველა სათნოების საფუძველია“, — ამ სიტყვებს ხშირად იმეორებდა, მეტადრე სუფრასთან თამადად ყოფნის დროს.

შვილებს კი შინ, სხვა, ყალბი ღირებულებებით „უწვრთნიდი სულს“. აკი შედეგმაც არ დააყოვნა.

ან მაშინ რატომ არ შეშინდა? ცხოვრებიდან რამდენი მაგალითია ცნობილი, როდესაც უფალი სჯიდა (ზოგჯერ სიკვდილითაც კი) დედისა და მამის შეურაცხმყოფელს, უფრორე დედ-მამისაგან დაწყევლილს — „რომელმან სცეს მამასა თვისსა, ანუ დედასა სიკუდილით მოკუდის“ (ძველი აღთქმა) ან „შვილი გონიერი რჩეულ არს მამისა, ხოლო ურჩი წარსაწყმედელსა მიეცეს“. ახლა ვაჟა-ფშაველაც გაახსენდა: „ბევრად სჯობია სიკვდილი, მშობელი დედის წყენასა“... წყენასაც გააჩნია. ყველაზე დიდი უბედურება, რაც შეიძლება ადამიანს შეხვდეს, ესაა ცოცხლად დამარხვა. მარტოობისათვის განწირული, სხვის კერძად დარჩენილ მოხუცს კი ცოცხლად დამარხული ჰქვია.

მან გაიმეტა.., ისიც გაიმეტეს... არადა ხსნა ისე ახლოს იყო. ადამიანი თურმე მაშინ ხდება უმაღლესი არსება, როცა სიყვარულით ინახავს და სიცოცხლეს უნარჩუნებს მოხუც მშობლებს, თუმცა, ბუნებას ისინი უკვე განწირული ჰყავს სასიკვდილოდ. ის ამ დროს ბუნების კანონზე მაღლა დგება და ამით უზენაესს უახლოვდება.

მან ეს შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა. ახლა უკვე იცის, რომ უზენაესისაკენ სავალ გზაზე არ ეგების „თავსაფრიანი დედაკაცის“ ტრაგედიის განმეორება (თუმცა უფიქრია ამაზეც) და ამით მისი „უდანაშაულო დამნაშავე“ შვილების დასჯა... არჩევანი გააკეთა: დღეიდან მისი ცხოვრების მიზანი შურისძიება კი არა — თვითგვემაა. უშფოთველად, უდრტვინველად უნდა აიტანოს „ცოცხლად დამარხვის“ ყველა სიმწარე, ისე, რომ სამდურავის ერთი სიტყვაც არ წამოსცდეს. იქნებ, ამით მოახერხოს ნაკაცარმა კაცად აღდგომა, სინდისის გამთელება და უზენაესთან მიახლოება.

**მანანა კეიძია**

# ძნელი დედა-შვილობა...



მარინე, ზაზა და პატარა ნინო

— ღმერთო ძლიერო, ყველა კარგად ამყოფე, ყველა პატარა გაზარდე, ყველა ინვალიდი დააყენე ფეხზე, — ილოცება დედა. ქალი, რომელმაც მრავალი ტკივილი გადაიტანა, მრავალ განსაცდელს გაუძლო, არ გატეხილა, უფრო მტკიცე და შეუპოვარი გახდა. შვილის სიყვარული დედას შეუძლებელს შეაძლებინებს. დედა ყველაფერს აიტანს, შვილის ტკივილს და ცუდად ყოფნას კი ვერასოდეს შეურიგდება. გახსოვთ, ალბათ ნუნუ გოგობერიშვილი. მისი ოჯახის შესახებ რამდენიმე წლის წინათ გიამბეთ. თოთხმეტი წლის წინათ ზაზა გოგობერიშვილი კლდიდან გადმოვარდა და ხერხემალი დაუზიანდა. დედის თავგანწირვის და ექიმების დიდი ძალისხმევის შედეგად, ვაჟი გადარჩა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, ვიღაც არაკაცებმა რუსთაველის გამზირზე ულმერთოდ სცემეს და ზაზა კვლავ დაინვალიდდა. განვლო კიდევ რამდენიმე წელიწადმა — ტკივილებით და უძილო ღამეებით სავსე წლებმა. ზაზამ შეუძლებელი შეძლო — გაიარა, მაგრამ მანქანა დაეჯახა და ინვალიდის ეტლს მიეჯაჭვა. ყირიმში მკურნალობის დროს, ზაზამ ინვალიდი გოგონა გაიცნო. ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდათ და შეუღლდნენ. რვა წლის შემდეგ პატარა ნინო შეეძინათ, რომელმაც ოჯახს ბედნიერებასთან და იმედთან ერთად პრობლემები და სადარდებელიც შემატა: ორი ინვალიდის პენსია — თერთმეტ-თერთმეტი ლარი ოჯახს პურის ფულადაც არ ჰყოფნის. ახალგაზრდების ოჯახი ქალბატონ ნუნუს მხრებზეა დაფუძნებული. დედა რომ შვილს უვლის, გასაკვირი არაა, გასაოცარია მხოლოდ, რომ დედამთილმა ღვიძლი შვილივით მიიღო ინვალიდი რძალი და დედობა გაუწია. ჩვენ რძალ-დედამთილი კი არა, დედა-შვილი ვართ, — ამაყად ამბობს ქალბატონი ნუნუ და მის სიტყვებს მარინაც ეთანხმება; დედასთან არ ვარ ისე ახლოს, როგორც ნუნუკასთანო. ნათქვამი ლიტონი სიტყვები არ გეგონოთ. როდესაც ქალბატონი ნუნუ არჩევანის წინაშე დადგა, ოპერაცია შვილისთვის გაეკეთებინა თუ რძლისთვის, ბევრი არ უფიქრია — ერევნის სარეაბილიტაციო ცენტრში მარინას წარმატებით გაუკეთდა ურთულესი ოპერაცია და ახლა ჯოხით დადის.

— შვილის სიყვარულმა შემაყვარა მარინა, — ამბობს ქალბატონი ნუნუ, — დღეს დედამთილებს ჯანმრთელი რძლებიც არ უნდათ, მეც შემეძლო ზურგი შემექცია. სხვა ჩემს ადგილას დიდი ხანია ცხოვრებაზე ხელს ჩაიქნევდა. ზაზა სამჯერ გამოვტაცე სიკვდილს ხელიდან. ესე იგი, ჩემს შვილს სიცოცხლე უწერია. მჯერა, ღმერთის წყალობით ჩემს შვილს ფეხზე დავაყენებ. მრავალი ტკივილის მიუხედავად, ხვალინდელი დღის იმედი არ დაგვიკარგავს. თუმცა, რა დასამალია, ეს ყველაფერი ნერვების და ჯანმრთელობის ფასად დამიჯდა. როცა გავიგე, მარინა ორსულად იყო, შევშფოთდი და ვუთხარი: მარინა, შვილო, შენი ჯანმრთელობა და სიცოცხლე ძვირად მიღირს, იქნებ არ გარისკო-მეთქი. იცით, რა მიპასუხა: ჩვენში ცნაყოფი ხეებს ჰრიანო. შეპასუხება ველარ გავბედე. ცხრა თვის განმავლობაში ტკივილს უსიტყვოდ იტანდა. წამალი ერთხელაც არ დაულევია, ნაყოფს არ ავნოსო. მე და ზაზა ყველაფერს ვიკლებდით, რათა მარინას სრულფასოვნად ეკვება.

თოთხმეტი წელია გოლგოთის გზას ვადგავართ. ვინ მოთვლის, რამდენი უსიამოვნება და დამცირება მოგვაყენეს, მაგრამ რწმენა კეთილ ადამიანებს დაუბრუნებიათ, რომლებიც, საბედნიეროდ, კიდევ არიან ამ ქვეყანად. მხურს მადლობა გადავუხადო მე-8 ქალთა კონსულტაციის ექიმს ახმათ გელაშვილს, ჩაჩავას სახელობის მეანობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტის მთელ კოლექტივს (დირექტორი ბ-ნი პალიკო კინტრაია), მეან-გინეკოლოგს ნუკრი მანჯგალაძეს და მრავალს, მრავალს სხვას, რომლებმაც გულთან მიიტანეს ჩემი ოჯახის გასაჭირი. ვლოცავ მათაც, ვისაც შეეძლო დახმარება, მაგრამ ზურგი შემაქცია. ღმერთმა გაუნათოს გონება, რათა მომავალში სხვა გაჭირვებულს მაინც შეეწიონ.

მე რა გამაჩნია, მაგრამ რამდენჯერ ქუჩაში გაჭირვებულისთვის პურის ფული მიმიცია. ეტყობა, ჩემზე მეტად უჭირს, რადგან სამათხოვროდ ხელი გაუწვდენია-მეთქი. სახლში კი უპუროდ მივსულვარ და მითქვამს, პურის მოტანა დამავიწყდა და ნუ გამიჯავრდებით-მეთქი.

ძნელია დედა-შვილობა, ჩემთვის ასჯერ უფრო ძნელი. ხანდახან ისე დავღლილვარ, სიკვდილი მინატრია. მაგრამ ზაზას და მარინას მოლოდინით ავსებ თვალებში რომ ჩავხედავ, ახალი ენერგიით ვივსები. მათ ვერ ვუღალატებ. შეუძლებელი უნდა შევძლო. ასე რომ, სხვა გზა არა მაქვს, უნდა გავახალგაზრდავდე. ჩემი შვილის შეზღუდულებები უნდა გავითავისო. მისი ცხოვრებით უნდა ვიცხოვრო.

* * *

მეტი რა გითხრათ.

ზაზას გერმანიაში მკურნალობა ესაჭიროება, რაც დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, და რისი მოგროვების საშუალება მის ოჯახს არა აქვს.

ამ სევდიანი სტრიქონების წაკითხვის შემდეგ ისე მოიქეცით, როგორც გული გიკარნახებთ.

მარინე ნაკაიძე

# კულინარია კულინარია

## ხაჭოს ღვეზელი ხილით 12 კაცზე

მომზადების დრო — 60 წუთი. ცხობის დრო — 90 წუთი. 1 ულუფის კალორია — 250 კკალ.

### მასალა ცომისათვის:

50 გრამი კარაქი ან მარგარინი, ერთი მწიკვი მარილი, 125 გრამი ფქვილი, 4 კვერცხი, 750 გრამი ხაჭო, 100 გრამი შაქრის ფხვნილი, 350 გრამი ახალი ან დაკონსერვებული ნებისმიერი ხილი.

### გარდა ამისა:

ცომის საცხობი ყალიბი 26 სმ-ის დიამეტრით, ცხიმი ყალიბზე მოსახსმელად ან ფსკერზე მოსაფენი ქაღალდი, 2 სუფრის კოვზი წვრილად დაჭრილი ნიგოზი, თხილი ან ნუში.

მოსარშული ცომის მოსამზადებლად ავადუღოთ 100 მილიგრამი ოდნავ მარილიანი წყალი კარაქთან (მარგარინთან) ერთად. ჩავაყაროთ ფქვილი და ნელ ცეცხლზე ხის კოვზის მორევით კარგად მოვაგუნდაოთ.

გადავიტანოთ ცომი თასში, ჩავუმატოთ ჯერ ერთი კვერცხი, შემდეგ კი მორევით ნელ-ნელა ვამატოთ დარჩენილი კვერცხები, ხაჭო, შაქარი და ვანილი, გარჩეული, გარეცხილი და წყლისგან დაწრეტილი უკურკო ხილი. გავახუროთ ღუმელი 180 გრადუსამდე, ფორმას მოვუსვათ ცხიმი ან ჩავუფინოთ ქაღალდი.

ცომი გადავიტანოთ ფორმაში და გამოვაცხოთ 90 წუთის მანძილზე. ჰაერღუმლის გამორთვის შემდეგ ღვეზელი შიგ კიდევ 10 წუთს გავაჩეროთ. ტაფაზე უცხიმოდ მოვხალოთ ნუში, თხილი ან ნიგოზი, დავჭრათ წვრილად და ცხელ ღვეზელს გვერდებზე ხის ნიჩბით მივაწებოთ. გრილ ღვეზელს სუფრაზე მიტანის წინ შაქრის „პუდრა“ მოვაყაროთ.

## ვაშლი არაჟნით

ვაშლს ზედა ნაწილი სახურავივით მოაჭერით და გული თესლიანად ამოაცალეთ. შემდეგ სიცარიელე არაჟნისა და შაქრის ნარევით ამოავსეთ, „სახურავი“ დაახურეთ და 15-20 წუთის განმავლობაში ჰაერღუმელში გამოაცხვეთ. მიირთვით მურაბასთან ერთად.

## თაფლის ღვეზელი ნუშითა და ხაჭოთი

### მასალა ცომისათვის:

25 გრამი საფუარი, 350 მილიგრამი რძე, მარილი, 225 გრამი კარაქი ან მარგარინი, 225 გრამი თაფლი, 600 გრამი ფქვილი, 6 სუფრის კოვზი რძე, 200 გრამი წვრილად დაჭრილი ნუში, ნიგოზი ან თხილი.

### მასალა გულისათვის:

2 კვერცხი, 75 გრამი არაჟანი, 70 გრამი თაფლი, 4 გრამი ჟელატინი, 250 გრამი ხაჭო.

### გარდა ამისა:

სწორკუთხა ყალიბი, ცხიმი ყალიბზე მოსახსმელად.

### ცომი:

1. გავხსნათ საფუარი 350 მილიგრამ თბილ რძეში, დავუმატოთ ერთი მწიკვი მარილი, ფქვილი, 85 გრამი კარაქი, 85 გრამი თაფლი და მოვზილოთ ელასტიური ცომი. დავდგათ თბილ ადგილას 1 საათით.
2. დარჩენილი კარაქი, თაფლი და 6 სუფრის კოვზი რძე კარგად ავურიოთ და პატარა ქვაბში 2 წუთი ვადუღოთ. ჩავუმატოთ დაჭრილი ნუში, ნიგოზი ან თხილი და გავაციოთ.
3. საფუარიანი ცომი კიდევ ერთხელ კარგად ავზილოთ, გავაბრტყელოთ და ცხიმიან ყალიბში მოვათავსოთ. დავაფაროთ ტილო და ამოსახსვლელად კიდევ ერთხელ 30 წუთით დავდგათ.
4. წინასწარ გავახუროთ ჰაერღუმელი 200 გრადუსამდე. ნუშიან-თაფლიანი მასა წყალში დასველებული ხის კოვზით თანაბრად გავანაწილოთ ცომზე და 25 წუთის მანძილზე გამოვაცხოთ.

### გული:

1. კვერცხის ცილა და გული ფრთხილად დავაცალკეოთ. ცილა ქაფივით ავთქვიფოთ და ცალკე დავდგათ. არაჟანი და თაფლი პატარა ქვაბში ავურიოთ და ნელ ცეცხლზე შევათბოთ.
2. ჟელატინს ცოტა ცივი წყალი დავასხათ და ვაცადოთ, გაფუვდეს. შემდეგ გავწუროთ და რამდენიმე კოვზი თბილი მასა დავუმატოთ, შემდეგ კი კოვზით მთლიანად კარგად ავურიოთ.
3. ქვაბი ცეცხლიდან გადმოვდგათ, კვერცხების გული ფრთხილად შევურიოთ ცხელ მასას და კოვზით ნელ-ნელა დავუმატოთ ხაჭო. ბოლოს ნელ-ნელა შევურიოთ ცალკე გადანახული ცილა. მიღებული კრემი 30 წუთით გასაციებლად მაცივარში შევდგათ.

გამომცხვარი ღვეზელი დანით შუაზე გავჭრათ. წავუსვათ კრემი, ზედა ფენა დავაფაროთ და ზემოდან შაქრის „პუდრა“ მოვაყაროთ.

## ფრანგული სალათა

5 კვერცხი მაგრად მოხარშეთ, გათალეთ 5 ვაშლი. წვრილად დაჭერით ორი თავი ხახვი, კვერცხები და ვაშლები მსხვილ სახეხზე დახეხეთ, მოასხით მაიონეზი და ყველაფერი კარგად აურიეთ.

## ბუტერბროდი გლეხურად

10 გრამი კარაქი ტაფაზე გაადნეთ, დაუმატეთ 2 ჩაის კოვზი პურის ფქვილი და კარგად აურიეთ. შემდეგ ჩაასხით შიგ ნახევარი ჭიქა რძე და მორევით ადუღებამდე მიიყვანეთ. ბოლოს მიღებულ მასას 200 გრამი არაჟანი დაუმატეთ, გემოვნებით შეაზავეთ მარილითა და წიწაკით, წაუსვით პურის ნაჭერს და მიირთვით. ძალიან გემრიელია!

ჟურნალის შეძენა შეგიძლიათ
რედაქციაში — მ. კოსტავას ქ. № 14, V სართული

რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. № 14.

რედაქტორის
ტელეფონი:
99-98-71

მასალები გადაეცა ასაწყობად 21.07.98 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.10.98 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. ტირაჟი 900. შეკვ. 998.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მათთვის, ვისაც ზედმეტი კილოგრამების დაგდება სურს

### ბოსტნეულის დღე;

აიღეთ ნებისმიერი ბოსტნეული — ჭარხალი, ყვავილოვანი ან თავიანი კომბოსტო, პამიდორი ან მწვანე ხახვი. მთავარია, რომ მენიუ ამ დღეს თქვენი საყვარელი ბოსტნეულისგან შედგებოდეს, რომლის ნაწილი უმად შეგიძლიათ მიირთვათ, ნაწილი — მოხარშული ან ტიფლონის საფარიან ტაფაზე უცხიმოდ შემწვარი. სავსებით დასაშვებია ზეთითა და ლიმონის წვენით შეკმაზული სალათიც.

### რძის დღე;

2 ლიტრი მოუხდელი რძის მიღება დღის განმავლობაში დაგეხმარებათ ორგანიზმიდან წლაკების გამოძევებაში. თუ მოუხდელი რძე არ გიყვართ, შეგიძლიათ დო მიირთვათ ან ორივე პროდუქტი შენაცვლებით.

### ხილის დღე;

დღის განმავლობაში მიირთვით ერთი კილოგრამი ან კილონახევარი ახალი ხილი. შეგიძლიათ მხოლოდ ანანასით ან რამდენიმე სახის ხილით დაკმაყოფილდეთ. სასარგებლოა ნებისმიერი მათგანი, ადგილობრივიც და ეგზოტიკური წარმოშობისაც, მთავარია, ამან სიამოვნება მოგანიჭოთ. ნუ გამოიყენებთ ამ მიზნისათვის ბანანს, რომელიც საჭმლის მონელებას აძნელებს.

### ბრინჯის დღე;

მოხარშეთ უმარილოდ 150 გრამი ბრინჯი, გაყავით სამ ნაწილად. დილით მისაღებ ულუფას დაუმატეთ ერთი მწიკვი დარიჩინი, სადილზე ბრინჯთან ერთად მიირთვით ერთი ცალი საშუალო ზომის გახეხილი ვაშლი, ვახშმად კი — ერთი ცალი უმი გახეხილი სტაფილო.

### წვენების დღე;

ეს დღე ალბათ ყველაზე სასიამოვნო ჩასატარებელია. მიირთვით ნებისმიერი რაოდენობით ნებისმიერი წვენი. გახსოვდეთ! ყველაზე სასარგებლო ახლადგამოწურული წვენია, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მჟა (დაუმტკბარი) წვენების მიღება არ შეგიძლიათ.

## ქროსვორდი



**თარაზულად:** 1. აშშ-ის სამხედრო სამინისტროს შენობა. 5. პირველი ქართული ხმოვანი ფილმი. 6. ჩეხი მომღერალი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი 1880-90 წლებში, ქართული სიმღერების პროპაგანდისტი. 8. როლი (ოპერაში, ბალეტში), 10. პერსონაჟი ქალის სახელი მექსიკურ ტელესერიალში „ველური გული". 12. ერთგვარი ძველებური ფრანგული ცეკვა. 15. მოწონება, დადასტურება, თანხმობა. 16. ქალის მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი ფრანგულ ფილმში „როკო და მისი ძმები". 17. ინგლისელი ფიზიკოსი, მათემატიკოსი და ასტრონომი. კლასიკური ფიზიკის ფუძემდებელი. 19. პალმების ოჯახის მცენარეთა გვარი. 24. საკურთხევლის ტახტი ეკლესიაში. 26. მკვახე, უმწიფარი ყურძენი. 28. რეჟისორ გ. დანელიას ფილმი. 30. პატარა ელექტროორგანი საესტრადო ორკესტრების შემადგენლობაში. 31. XIX ს. სამეჯლისო ცეკვა. 32. ფასიანი ქაღალდების ერთ-ერთი სახეობა, რომელიც შემოსავალს იძლევა მოგების ან პროცენტის სახით.

**შვეულად:** 1. საერთაშორისო ხელშეკრულება. 2. რვაჯერ განათხოვარი ამერიკელი კინომსახიობი. 3. კარგი საჭმელების მცოდნე და მოყვარული. 4. ნ. დუმბაძის ნაწარმოების გმირი. 5. ამერიკელი კინომსახიობი ქალი. 7. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. 8. მხატვრული ნაწარმოების მოქმედი პირი. 9. მიწის საზომი ერთეული ინგლისსა და ამერიკაში. 10. პანტომიმის შემსრულებელი მსახიობი. 11. ოფიციალურად გამოხატული მოწონება, დადასტურება შემოწმების შედეგად. 13. კვარცის ნაირსახეობა. 14. ძლიერი მიდრეკილება რაიმესადმი. 18. მუსიკალური ბგერის პირობითი გრაფიკული ნიშანი. 20. ერთხმიანი ლირიკულ-დრამატული შინაარსის ვოკალური ნაწარმოები. 21. მხედართმთავარი. 22. ქართველი ხალხური მომღერალი და ლოტბარი. 23. რისამე დედააზრი, — რაობა. 25. ფრანგი დრამატურგი, ავტორი პიესისა „ანტიგონე". 27. ამერიკელი კინოვარსკვლავი ქალი. 29. რაიმე ადგილის ან გეოლოგიური პერიოდის მცენარეთა ყველა სახეობის ერთობლიობა.

შეადგინა ციალა ამაშუკელმა

ინდექსი 76178
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ზ. დათუაშვილის ფოტო

ფასი 1 ლარი